

სამოქალაქო განათლება



B1+

საგარეო რვეული

2017



სამოქალაქო განათლება

სავარჯიშო რვეული

B1+

თბილისი
2017

„სამოქალაქო განათლება“ B1+ სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

**ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:
თამარ შარაბიძე**

**ავტორები:
დავით გოცირიძე
ინგა სანიკიძე
გიორგი უგულავა
თამარ შარაბიძე
თაია ცხადაია**

**რედაქტორები:
ინგა სანიკიძე
თამარ შარაბიძე
თაია ცხადაია**

©(სსიპ) ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „პოლიგრაფი“



ყაზბეგის 24გ, ტელ.: 231 24 72
E-mail: poly@gol.ge www.poly.ge

ISBN 978-9941-27-299-8

სამოქალაქო განათლება – სარჩევი

თავი I კონსტიტუცია	4
ნაწილი I საქართველოს კონსტიტუციის ისტორია	4
ნაწილი II სახელმწიფოს მმართველობის ფორმები	9
ნაწილი III საქართველოს კონსტიტუცია	15
თავი II საქართველოს პარლამენტი	21
ნაწილი I საქართველოს პარლამენტი და მისი სტრუქტურა	21
ნაწილი II საკანონმდებლო პროცესი	26
ნაწილი III პარლამენტის არჩევნები და მისი დათხოვნა. იმპიჩმენტი, რეფერენდუმი	32
თავი III საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა	38
ნაწილი I საქართველოს პრეზიდენტი	38
ნაწილი II საქართველოს მთავრობა	43
ნაწილი III ადგილობრივი თვითმმართველობა	49
თავი IV ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	54
თავი V დემოკრატია	63
ნაწილი I დემოკრატია. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაში	63
ნაწილი II აქტიური მოქალაქე – ქვეყნის დემოკრატიის გარანტი	68
ნაწილი III პოლიტიკური კულტურის ტიპები	73
თავი VI ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	79
ნაწილი I სამართლებრივი უფლებები	79
ნაწილი II სიტყვის, აზრის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება	84
ნაწილი III საკუთრება და საკუთრების უფლება	90
თავი VII ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი და არასამართლებრივი მექანიზმები	96
ნაწილი I სასამართლო ხელისუფლება	96
ნაწილი II იუსტიციის უმაღლესი საბჭო	101
ნაწილი III ადამიანის უფლებათა დაცვის არასამართლო მექანიზმები	107
თავი VIII ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში ქართული ენა და სამოქალაქო განათლება	113
თავი IX სახელმწიფო სამსახური	121
ნაწილი I საჯარო სამსახური	121
ნაწილი II მოხელის თანამდებობაზე მიღება	125
ნაწილი III მოხელის შრომითი უფლებები	129
თავი X საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა	134
ნაწილი I ნატო, ეუთო	134
ნაწილი II გაერო და იუნესკო	138
ნაწილი III ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	142
თავი XI ცალკეულ ჯგუფთა უფლებების დაცვა	147
ნაწილი I დევნილთა (ლტოლვილთა) უფლებები	147
ნაწილი II ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების უფლებები	151
ნაწილი III შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები	155
თავი XII ვიზალიბერალიზაცია	160

ნაწილი 1

საქართველოს კონსტიტუციის ისტორია

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	სახელმწიფოში მოქალაქეებს შორის ბრძოლა ძალაუფლებისათვის.
2. -----	იურიდიული დოკუმენტის მცირე ნაწილი.
ლეგიტიმაცია	3. -----
დეკლარაცია	4. -----
5. -----	ის საყოველთაო გამოკითხვას ნიშნავს.

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	რუსეთმა საქართველო მეტვრამეტე საუკუნეში დაიპყრო.		✓
1	მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა.		
2	1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის აქტი გამოაქვეყნა.		
3	საქართველოს დამოუკიდებლობას ლეგიტიმაცია არ სჭირდებოდა.		
4	საქართველოს კონსტიტუციის შესაქმნელად სპეციალურ ჯგუფს არ უმუშავია.		
5	პირველ კონსტიტუციაზე მუშაობა ერთ წელიწადს გრძელდებოდა.		
6	კონსტიტუციის შედგენაში ცნობილი ადამიანები მონაწილეობდნენ.		
7	1921 წლის 15 თებერვალს საქართველოში წითელი არმია შემოიჭრა.		
8	პირველი კონსტიტუცია დაჩქარებულად არ მიუღიათ.		
9	პირველი კონსტიტუცია იმ დროისათვის პროგრესული იყო.		
10	1991 წელს საქართველო რეფერენდუმის საფუძველზე საბჭოთა კავშირიდან გამოვიდა.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]!

ნიმუში: მუხლობრივი განხილვაბ.....

ბ. განხილვა მუხლების მიხედვით.

1. სამართლებრივი აქტი
2. შემუშავება
3. შემოჭრა
4. დამოუკიდებელი
5. დაპყრობა
6. საბჭო

ა. რაიმეს შექმნა მუშაობის შედეგად.

ბ. იგივეა, რაც თავისუფალი, არავისზე დამოკიდებული.

გ. ხელში ჩაგდება, დასაკუთრება.

დ. ხელისუფლების ან თანამდებობის პირის მიერ მიღებული იურიდიული დოკუმენტი.

ე. ძალის გამოყენებით შემოსვლა.

ვ. ადგილი, სადაც თათბირობენ, იღებენ გადაწყვეტილებებს.

1.4. უპასუხეთ კითხვას რა? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

A.

N	როგორი?	რა?
	დამოუკიდებელი ----->	დამოუკიდებლობა
1	აქტიური ----->	
2	დაბნეული ----->	
3	უსაქმური ----->	
4	გაფანტული ----->	
5	პასიური ----->	
6	ეროვნული ----->	
7	პროგრესული ----->	

B.

N	როგორი?	რა?
	გონიერი ----->	გონიერება
1	ძლიერი ----->	
2	ბედნიერი ----->	
3	კანონიერი ----->	
4	მშვენიერი ----->	
5	წესიერი ----->	

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: პოლიტიკურ პარტიათა ასეთ ...აქტიურობას... ხალხი არჩევნების დროს შეაფასებს. [აქტიურობა]

1. ასეთი შედეგი ჩემმა გამოიწვია. [დაბნეულობა]
2. დამოუკიდებელი საქართველოს ემიგრაციაში წასვლა მოუწია.
[ხელისუფლება]
3. ჩემი ყველამ გაიხარა. [ბედნიერება]
4. ქვეყნის მისი ეკონომიკაც განსაზღვრავს. [ძლიერება]
5. ორი თვის წინ სვანეთში ვიყავი და ბუნების ვისიამოვნე. [მშვენიერება]
6. გიორგის გამაკვირვა. [წესიერება]
7. თამარის იმედი მაქვს, ის გამოსავალს აუცილებლად იპოვის. [გონიერება]
8. სამართლებრივ სახელმწიფოში მთავარ ყურადღებას აქცევენ. [კანონიერება]

1.6. –ებ’იანი მრავლობითის ფორმები შეცვალეთ –თან’იანით!

ნიმუში: სპეციალური საგამოძიებო კომისიების შექმნა პარლამენტს ევალება.

...სპეციალურ საგამოძიებო კომისიათა შექმნა პარლამენტს ევალება.....

1. საუკუნეების განმავლობაში საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა იყო.

.....

2. ევროპის **სახელმწიფოების** შეთანხმებით საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო.
.....
3. პროგრესული **ქვეყნების** მიზანია დემოკრატიის განმტკიცება.
.....
4. საქართველოს პირველი კონსტიტუცია ცნობილი **ადამიანების** ჩარევით დაიწერა.
.....
5. **მხარეების** გადაწყვეტილებით, პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო ბარიერი 5%-მდე დაუწიეს.
.....
6. **ბავშვების** უფლებების დასაცავად კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა.
.....
7. ასეთ შემთხვევაში სამხრეთ ამერიკის **სახელმწიფოების** მაგალითი არ გამოდგება.
.....
8. **სტუდენტების** უფლებების დასაცავად ახალ ინიციატივას ველოდებით.
.....
9. **მოქალაქეების** გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ.
.....
10. ქვეყანაში სწორი **დამოკიდებულებების** მთავარი პრინციპი დემოკრატიულობაა.
.....

1.7. ააგეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით!

ნიმუში: ...ცოტა ხანს მოსაცდელში გელოდებოდი და მერე წამოვედი... [ცოტა ხანს]

1. [ცოტა ხანია]
2. [დიდი ხანი]
3. [დიდხანს]
4. [ცოტა ხანი]
5. [დიდი ხანია]

1.8. უპასუხეთ კითხვებს და შეავსეთ გამოტოვებული უჯრები!

რამდენ ხანს?	რამდენი ხანი?	რამდენი ხანია?
ორ წელიწადს		
	ერთი კვირა	
		ხუთი დღეა
	სამი საათი	
		შვიდი წელია
	მთელი დღე	

1.9. წინადადებები გადაიყვანეთ კითხვით ფორმაში!

ნიმუში: სამი კვირა ვიყავი სოფელში.

... რამდენი ხანი იყავი სოფელში?...

1. სამარშრუტო ტაქსი სამ საათს ანდომებს დედაქალაქში ჩამოსვლას.

.....

2. ერთი თვეა, მაგ გადაცემას ვუყურებ.

.....

3. ოთხი წელიწადი ევროპაში ვსწავლობდი.

.....

4. მთელი დღე მინისტრთან ვიყავი.

.....

5. ხუთ წელიწადს საქართველოში ვიცხოვრებ.

.....

6. ორი საათია, კარებთან გიცდი.

.....

1.10. უპასუხეთ კითხვებს წერილობით!

ა. რამდენ ხანს არ ჰქონდათ ელექტროენერგია?

.....

ბ. რამდენი ხანია, რაც ჩემს ქვეყანაში ხარ?

.....

გ. რამდენი დღე დაგრჩა გამოცდის ჩაბარებამდე?

.....

დ. რამდენ ხანს დააგვიანებს თქვენი გადაწყვეტილება?

.....

ე. რამდენი კვირაა, რაც ოფიციალური წერილი გაიგზავნა?

.....

ნაწილი 2

სახელმწიფოს მმართველობის ფორმები

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	მეფის, ანუ მონარქის, მმართველობას ეწოდება.
2. -----	ძალაუფლების ან ქონების გადაცემა მშობლიდან შვილზე.
შეზღუდული	3. -----
კენჭისყრა	4. -----
5. -----	სახელმწიფოს მეთაურის უფლება აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს კანონის მიღება ან ინიციატივა.

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	სახელმწიფოს მმართველობის ძირითადი ფორმებია: რესპუბლიკა და მონარქია.	✓	
1	მონარქიის შემთხვევაში ხელისუფლება მემკვიდრეობით არ გადადის.		

2	რესპუბლიკური მმართველობის დროს ხალხის არჩევნებს მნიშვნელობა არა აქვს.		
3	კონსტიტუციური მონარქიის დროს მეფის ძალაუფლება არ არის შეზღუდული კონსტიტუციით.		
4	რესპუბლიკური მმართველობა ორი სახისაა: საპარლამენტო და საპრეზიდენტო.		
5	საპრეზიდენტო მმართველობის დროს პრეზიდენტს ირჩევს ხალხი კენჭისყრის საშუალებით.		
6	საპრეზიდენტო მმართველობის შემთხვევაში პრეზიდენტი მინისტრებს ვერ ათავისუფლებს.		
7	საპარლამენტო მმართველობის დროს უპირატესობა აქვს პარლამენტს.		
8	საპარლამენტო მმართველობისას მთავრობა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი.		
9	საპარლამენტო მმართველობის დროს პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]!

ნიმუში: აბსოლუტური მონარქიაგ.....

გ. სრული ძალაუფლების მქონე სამეფო ხელისუფლება.

1. ძალაუფლება

2. რესპუბლიკა

3. შეუზღუდავი

4. სახელმწიფო ორგანო

5. უპირატესობა

6. პასუხისმგებლობა

ა. მმართველობის ის ფორმა, რომელშიც ხელისუფლებას ხალხი ირჩევს.

ბ. სახელმწიფოს ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს თავისი უფლებები და მოვალეობები. ის სახელმწიფო ხელისუფლების ნაწილია.

გ. იგივეა, რაც განსაკუთრებულობა.

დ. ვალდებულება, მოვალეობა ვინმეს, რაიმეს წინაშე.

- ე. აქ: ქვეყნის მართვის დროს უფლების, სამართლებრივი ძალის ქონა.
ვ. ის არ გულისხმობს ჩარჩოებსა და საზღვრებს.

2.4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ამ საკითხისადმი ...სამართლიან მიდგომას... მხოლოდ დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია.
[სამართლიანი მიდგომა]

- დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. [კონსტიტუციური უფლებები]
- ორი ფორმა არსებობს: საპარლამენტო და საპრეზიდენტო. [რესპუბლიკური მმართველობა]
- თანამედროვე დემოკრატიული მსოფლიო ვეღარ შეეგუება.
[აბსოლუტური მონარქია]
- მან საკითხისადმი გამოსავალი მალე იპოვა. [სწორი დამოკიდებულება]
- ცუდი დასასრული ექნება! [თქვენი ძალაუფლება]
- წელს საკმაოდ დიდი დაფინანსება მიიღეს. [პოლიტიკური პარტიები]
- მან თავისი პოზიცია გაგვაცნო. [ძირითადი არგუმენტები]
- პირებს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. [მაღალი თანამდებობა]

2.5. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ...უცნობ მოქალაქეებს... პოლიცია სხდომათა დარბაზში არ უშვებდა.

[უცნობი მოქალაქეები]

ა.

[არსებულმა მდგომარეობამ]

ბ.

[პატიოსან ადამიანს]

გ.

[კარგი თანამშრომელი]

დ.

[დემოკრატიული სახელმწიფო]

ე.

[გონიერმა ხელმძღვანელმა]

2.6. შეადგინეთ წინადადებები ზმნებით: უზრუნველყოფს, ცხადყოფს, ნათელყოფს. გამოიყენეთ ახლანდელი და წარსული დრო!

ნიმუში: ...ეს მოვლენა ცხადყოფს, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს საერთაშორისო ორგანიზაციები აკვირდებიან...

ან:

...მათ თავიანთი არგუმენტებით ცხადყვეს, რომ მმართველობის ფორმა უნდა შეიცვალოს...

1.

2.

3.

4.

5.

6.

2.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: აღადგინა, გადასცა, შეზღუდა, დანიშნა, დაიცვა!

1. ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა 1991 წელს

2. პრემიერ-მინისტრმა ახალი ფინანსთა მინისტრი

3. ახალგაზრდა კაცმა თავისი უფლებები კარგად

4. პოლიციამ ჩვენს გზაზე მოძრაობა

5. მთელი დოკუმენტები მან უკვე კანცელარიას

2.8. ა) ხაზგასმული სიტყვები დაუკავშირეთ ზმნებს და ამოწერეთ ისინი!**ნიმუში:** სახელმწიფომ ჩვენი მოთხოვნა უკვე დააკმაყოფილა.

.....სახელმწიფომ დააკმაყოფილა.....

1. დირექტორმა ერთი თანამშრომელი თანამდებობაზე დააბრუნა.

.....

2. ტაქსის მძღოლმა ხურდა არ მომცა.

.....

3. გუბერნატორმა ყველა თავის კაბინეტში დაიბარა.

.....

4. მოქალაქემ ჩვენი არყოფნით ისარგებლა.

.....

5. ახალმა კონსტიტუციამ მმართველობის ფორმა შეცვალა.

.....

6. პრეზიდენტმა დიპლომატიური კორპუსი გადააყენა.

.....

ბ) ამოწერილი წყვილები გადაიყვანეთ მომავალ დროში; უპასუხეთ კითხვას: რას იგაჰს?**ნიმუში:** სახელმწიფომ დააკმაყოფილა --- სახელმწიფო დააკმაყოფილებს.

1.

2.

3.

4.

5.

2.9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით კავშირი: რომელიც //რომლებიც!**ნიმუში:** მოქალაქეს, ...რომელიც... საქართველოში დიდი ხანია არ ცხოვრობს, პენსია არ დაენიშნება.

1. ადმინისტრაციული წესები, ორგანიზაციის მიერ არის დადგენილი, ყველამ უნდა დაიცვას.

2. მოქალაქეებს შეიძლება არ მოსწონთ კანონი, პარლამენტმა გუშინ მიიღო.

3. ხელში მეჭირა ის საბუთები, ბანკში უნდა წამეღო.
4. სამოქალაქო ომი, რუსეთში იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობას აძლევდა.
5. ვეტოს უფლება, პრეზიდენტს აქვს, თავისი შინაარსით დემოკრატიულია.
6. შეკითხვები, მე დავსვამ, საქართველოს კონსტიტუციას ეხება.
7. უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა, საქართველოში ორი წელი იცხოვრეს, ჩემთან ახლოს შეიძინეს ბინა.
8. მე ის დოკუმენტებიც ვნახე, არქივში ინახება.

2.10. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: **სამწუხაროდ; საბედნიეროდ!**

ნიმუში: სამწუხაროდ, 1921 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა.

ან:

საბედნიეროდ, 1991 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობის აღდგენა შეძლო.

1.
2.
3.
4.

2.11. გამოთვებული ადგილას ჩასვით ფორმები: **შესახებ და გამო!**

ნიმუში: პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონის ...გამო... ფინანსური ჯარიმები დაწესდა.

1. გავიგე, რომ თქვენ გუბერნატორს შეატყობინეს.
2. სამი თანამშრომლის არყოფნის სხდომა არ გაიმართება.
3. კანონის დარღვევის ყველა უნდა დაისაჯოს.
4. ჩვენი ფირმის არსებულ ინფორმაციას ინტერნეტში ნახავთ.
5. ევროპარლამენტის რეკომენდაციების ხვალ დილითვე მოგახსენებთ.
6. გაცდენის შესაძლებელია ბ-ნი თამაზი სამსახურიდან გაათავისუფლონ.
7. კონსტიტუციის მთავარი მუხლების ინფორმაცია ელექტრონულ გვერდზე დევს?
8. პოლიტიკური ლიდერების ყველანაირი ინფორმაცია არ გვაქვს.
9. მისი საქმიანობის სასწრაფოდ უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას.

2.12. გაასწორეთ შეცდომები!

ნიმუში: თქვენს გამო მეც დავაგვიანე.

.....თქვენ გამო.....,

1. ჩემს შესახებ ინფორმაციას ორგანიზაციის დირექტორს მიაწოდებენ.

.....

2. ბევრი ვიფიქრე თქვენს შესახებ და გადავწყვიტე, სექტემბრიდან დაგაწინაუროთ.

.....

3. შენს გამო კანონს ვერ დავარღვევ.

.....

4. აუცილებელი გახდა სხდომის გადადება შენს გამო, ამის შემდეგ აღარ დააგვიანო!

.....

5. ჩვენს შესახებ სწრაფად მოიპოვეს საჯარო ინფორმაცია.

.....

ნაწილი 3

საქართველოს კონსტიტუცია

3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ყველაფერზე მაღლა მდგომი.
2. -----	რაიმეს კეთების, მოქმედების შესაძლებლობა.
3. -----	მმართველობის ის ფორმა, რომლის დროსაც ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს.
საჯარო	4. -----
ბიუჯეტი	5. -----

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ –ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველოს კონსტიტუცია ქართული სახელმწიფოს უზენაესი კანონია.	✓	
1	ზოგიერთი კანონი და აქტი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას.		
2	კონსტიტუცია განსაზღვრავს ქვეყნის სახელწოდებასაც.		
3	მმართველობის ფორმა კონსტიტუციითაა დადგენილი.		
4	კონსტიტუცია არ იცავს ადამიანის უფლებებს.		
5	საქართველოს პოლიტიკური წყობილებაა დემოკრატიული რესპუბლიკა.		
6	დემოკრატია აზრთა სხვადასხვაობას არ გულისხმობს.		
7	1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია პოლიტიკურ პლურალიზმს აღიარებს.		
8	დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური პროცესები საჯარო არ არის.		
9	სამართლებრივ სახელმწიფოში კანონი უზენაესია.		
10	საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა.		

3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:

ნიმუში: წყობილებაბ.....

ბ. აქ: სახელმწიფოებრივი მმართველობის წესი.

1. პლურალიზმი
2. პროპორციული სისტემა
3. მაჟორიტარული სისტემა
4. პარლამენტი
5. საკრებულო

ა. არჩევნების დროს მოქმედი სისტემა, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელი კანდიდატის გამარჯვებას. მან ხმების 50%-ზე მეტი უნდა მიიღოს.

ბ. აქ: აზრთა სხვადასხვაობა.

გ. ის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა.

დ. ის ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოა.

ე. არჩევნების დროს მოქმედი სისტემა, რომელიც პარტიათა მიერ მიღებული ხმების პროცენტით ადგენს პარლამენტართა რაოდენობას.

3.4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ამსამართლებრივი აქტის..... მე-3 მუხლი ორი წლის წინ შეცვალეს. [სამართლებრივი აქტი]

1. ისედაც ბევრი პრივილეგია აქვს. [ადგილობრივი მოსახლეობა]
2. შეიძლება მოგატყუოს და შვილის არასწორი საქციელიც გაამართლო. [დედობრივი განცდა]
3. მის ყველა მალე დაინახავს. [დანაშაულებრივი მოქმედება]
4. ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლება. [სახელმწიფოებრივი აზროვნება]
5. დაცვა აუცილებელი და საჭიროა. [საზოგადოებრივი წესრიგი]
6. მას გამო ორი გამოცდის ჩაბარება გაუჭირდა. [ენობრივი ბარიერი]
7. საქართველო მინერალური წყლების მდიდარი ქვეყანაა. [ბუნებრივი რესურსი]
8. ნებისმიერი თანამშრომელი მიხედვით უნდა დააწინაურონ. [გონებრივი შესაძლებლობები]

3.5. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში:ეს ტრადიცია დაწერილი წესივით მოქმედებს..... [დაწერილი წესივით]

1.
[უსინდისო ადამიანივით]
2.
[საქართველოს პრეზიდენტივით]
3.
[ძირითადი კანონივით]

4.

[ძველი დოკუმენტით]

5.

[გამოცდილი სპეციალისტით]

3.6. გამოტოვებული ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები!

ნიმუში: მეც ...თქვენსავით... მიყვარს თბილისის ძველი უბნები. [თქვენ]

1. ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში კომპეტენტური არავინ ვიცი. [მას]

2. დანია პატარა ქვეყანაა. [საქართველო]

3. მოგიწევთ ტრენინგების გავლა, ისე სამსახურში არ მიგიღებენ. [ჩემ]

4. ჩემი მეზობელი გოგონა მაღალია, ამიტომ კალათბურთზე დადის. [შენ]

5. შენი აბრი ნათელია. [დღე]

6. კონკურენტი ფირმა აპირებს ახალი მაღაზიების გახსნას. [ჩვენ]

7. დიდ ღონისძიებას ვერ გავმართავთ პატარა დარბაზში. [თქვენ]

3.7. პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: ადგენდეს, ნიშნავდეს, აწესებდეს, იღებდეს!

ნიმუში:

მე უნდა ვსწავლობდე ჩვენ უნდა ვსწავლობდეთ

შენ უნდა სწავლობდე თქვენ უნდა სწავლობდეთ

ის უნდა სწავლობდეს ისინი უნდა სწავლობდნენ

1.

მე უნდა ვადგენდე ჩვენ უნდა

შენ უნდა თქვენ უნდა

ის უნდა ისინი უნდა

2.

მე უნდა ვნიშნავდე ჩვენ უნდა

შენ უნდა თქვენ უნდა

ის უნდა

ისინი უნდა

3.

მე შეიძლება ვაწესებდე

ჩვენ შეიძლება

შენ შეიძლება

თქვენ შეიძლება

ის შეიძლება

ისინი შეიძლება

4.

მე შეიძლება ვიღებდე

ჩვენ შეიძლება

შენ შეიძლება

თქვენ შეიძლება

ის შეიძლება

ისინი შეიძლება

3.8. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები; უპასუხეთ კითხვებს: რას შერებოდეს? რას შერებოდნენ?

ნიმუში: დეკლარაციას გამოცდილი იურისტი უნდა*წერდეს*..... და არა — თქვენ. [წერდა]

1. კონსტიტუცია სამართლებრივ ურთიერთობებს უნდა [აწესრიგებდა]

2. ორგანიზაციაში მოქმედ ყველა წესს დემოკრატიული პრინციპები უნდა
[განსაზღვრავდა]

3. ყველა სახის მორალურ ნორმას ადამიანები შეიძლება ვერ [ასრულებდა]

4. ნამდვილი მოქალაქე სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა [მოქმედებდა]

5. რომ არ ასეთი კანონი, ადამიანის უფლებები დაირღვეოდა. [არსებობდა]

6. დისციპლინარულ ნორმებს ყველა ორგანიზაციაში ის უნდა [აწესებდა]

7. ამას თვითონაც უნდა [ხვდებოდა]

8. ეს დეპუტატი, ნეტავ, ჩვენს საარჩევნო ოლქში კენჭს. [იყრიდა]

9. ხელისუფლება სიტყვის თავისუფლების დაცვას საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა
..... [ავალდებულებდა]

10. შეიძლება კონსტიტუცია ზეპირად ყველამ არ, მაგრამ განსხვავებული ადამიანი მაინც არ დაჩაგროს. [იცოდა]

3.9. დააკვირდით შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

ხელი შეუწყო — დაეხმარა, დახმარება გაუწია.

ხელი გაუმართა — მატერიალურად დაეხმარა, ფინანსური დახმარება გაუწია.

ხელი შეუშალა — წინააღმდეგობა გაუწია რაიმე საქმეში, დაბრკოლება შეუქმნა.

ხელში ჩაიგდო — მოიპოვა, დაეუფლა, დაისაკუთრა, დაიპყრო.

ნიმუში: ...დემოკრატიული პრინციპების დაცვა ხელს შეუწყობს სახელმწიფოს განვითარებას...

1.

[ხელი გამართა]

2.


[ხელი შეუწყო]

3.

[ხელში ჩაიგდეს]

4.

[ხელს შეგიშლის]



3.10. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

მუნიციპალიტეტში სამუშაო დღე ახალი დაწყებული იყო, ამიტომ ჩვენი სამსახურის გრძელ დერეფანში ბევრი უცნობი მოქალაქე ირეოდა. ჩემს მისაღებ ოთახთანაც შემომსვლელთა რიგი იდგა. საბუთების მოწესრიგებას ვაპირებდი, რომ მიღება მშვიდად დამეწყო. უეცრად კარი მამაკაცმა შემოაღო და აღელვებით მითხრა: — ვიცი, რომ, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა, დრო აღარ ითმენს.

— ბრძანეთ, — ვუთხარი მე და მოსასმენად გავემზადე. მივხვდი, რომ მის თავს რაღაც უბედურება ტრიალებდა.

— ფინანსური დახმარება მჭირდება, გთხოვთ,, ჩემი სამი წლის გოგონას გულის პრობლემები აქვს, ოპერაციის გადადება აღარ შეიძლება, თანხა არ გვყოფნის, — ძლივს წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა და საავადმყოფოდან მოტანილი დოკუმენტები მომაწოდა. ბევრი არ მიფიქრია, ქალაქდები სწრაფად გადავთვალე და თანხის გადარიცხვის ბრძანება გავეცე. მხოლოდ ამის შემდეგ გავუსწორე მხერა მამის სევდიან თვალებს და მათში იმედის სხივი დავინახე.

საქართველოს პარლამენტი

ნაწილი 1

საქართველოს პარლამენტი და მისი სტრუქტურა

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა / შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	მისი ფუნქციაა კანონების შექმნა.
2. -----	კანონების შესრულებაზე კონტროლი მისი მთავარი ფუნქციაა.
3. -----	ორგანიზაცია, რომელიც ერთი პალატისაგან შედგება.
კომიტეტი	4. -----
[საპარლამენტო] ფრაქცია	5. -----

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველოს პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლებაა.		✓
1	საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.		
2	საქართველოს პარლამენტს მთავრობის კონტროლის ფუნქცია არა აქვს.		
3	საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმომადგენლობითი ორგანო არ ჰქონია.		
4	ამჟამად საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანი ორგანოა.		
5	პარლამენტი მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატებისაგან შედგება.		
6	პარლამენტის დათხოვნის უფლება საქართველოს პრეზიდენტს არა აქვს.		

7	პარლამენტს 4 წლის ვადით ირჩევენ.		
8	პარლამენტის უფლება-მოვალეობები კონსტიტუციითაა განსაზღვრული.		
9	საქართველოს მოქალაქეს 20 წლიდან აქვს უფლება გახდეს პარლამენტარი.		
10	პარლამენტის მუშაობას უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე.		
11	პარლამენტარებს არა აქვთ უფლება გაერთიანდნენ ფრაქციებში.		
12	პარლამენტს აქვს უფლება შექმნას საგამოძიებო და სხვა სახის დროებითი კომისიები.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: გაძლოლად.....

დ. რაიმე პროცესის წარმართვა, მისი წინამძღოლობა.

1. მქონე

2. უმრავლესობა

3. უმცირესობა

4. ფარული

5. მაგივრად

ა. პარლამენტის წევრთა მცირე ნაწილი, რომელსაც მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

ბ. ეწოდება ისეთს, რომელიც არ არის ღია, საჯარო.

გ. იგივეა, რაც ნაცვლად.

დ. პარლამენტის წევრთა დიდი ნაწილი, რომელსაც მსგავსი პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

ე. რაიმეს მფლობელს ნიშნავს.

1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რა? / ვინ?	როგორი?/ვინ?/რა?
	კანონმდებლობა --->	საკანონმდებლო
1	მოქალაქე --->	
2	ქართველი --->	

3	მთავრობა --->	
4	დავა --->	
5	კამათი --->	
6	მინისტრი --->	
7	ხელმძღვანელი --->	
8	ქვეყანა --->	
9	პარლამენტი --->	
10	კონსტიტუცია --->	

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში:საპარლამენტო ხელისუფლებას... ახალ კანონპროექტს წარვუდგენთ. [საპარლამენტო ხელისუფლება]

1. ხვალ მნიშვნელოვან ხელს მოაწერენ. [სამთავრობო გადაწყვეტილება]
2. ფიცი ქვეყნის წინაშე დადო. [საქართველოს პრეზიდენტი]
3. ჩვენი ქვეყნის მომავალი უნდა გადაწყვიტოს. [საგარეო პოლიტიკა]
4. ახალ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა. [საპარლამენტო უმრავლესობა]
5. ამ გამო სხდომა კიდევ ერთხელ დაინიშნა. [საკამათო საკითხი]
6. თავისი ვიზიტი გადადო. [სამთავრობო დელეგაცია]
7. ის ქვეყნის არის დაკავებული. [საშინაო საქმეები]

1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: არავინ, ნურავინ, ვერავინ, არაფერი!

ნიმუში: სხვას არავის აქვს უფლება, დოკუმენტებზე ხელი რომ მოაწეროს?

1. გამომყვება უკან, მე თვითონ მოვაგვარებ საქმეს.
2. შეძლებს, საკანონმდებლო გადაწყვეტილება შეცვალოს.
3. ნუ გეშინია, დავუშავებ.
4. პარლამენტის თავმჯდომარემ გამოთქმულ აზრს დაამატა.

5. წარმოიდგენს, რომ გუბერნატორის გადაწყვეტილებას შეცვლის!
6. გაბედავს ამ მძიმე დანაშაულის დაფარვას!
7. ჩვენს მინისტრთა კაბინეტს აქვს საერთო ამ გადაწყვეტილებასთან.
8. ექნება იმის იმედი, რომ არ დაისჯება.
9. შემოვიდეს ჩემს ოთახში, ბევრი სამუშაო მაქვს!
10. დამივალეზია, ამის გაკეთება თვითონ მოიფიქრა.
11. მან ჩათვალა ჩემი ფრაქციის პარლამენტართა არგუმენტები.

1.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა დასმული კითხვის მიხედვით!

ნიმუში: ის ძველ სამსახურში გუშინ ...*აღადგინეს*... [რა ქნეს? — აღდგენა]

1. დირექტორმა , რომ ამ საკითხს შეისწავლიდა. [რა ქნა? — აღნიშვნა]
2. ვინ ჩვენი შემოსავლის რაოდენობას? [რას იზამს? — აღრიცხვა]
3. უდემამო ბავშვმა მას სიბრაღის გრძნობა [რა ქნა? — აღძვრა]
4. ეს გოგონა კარგად, ამიტომ რაიმეს დამალვა არც უცდია. [რა ქნეს? — აღზრდა]
5. ბატონო, ჯერ დოკუმენტები უნდა და მერე მობრძანეთ! [რა ქნათ? — აღდგენა]
6. საშუალო სკოლამაც უნდა განათლებული ახალგაზრდობა. [რა ქნას? — აღზრდა]
7. პრემიერ-მინისტრმა..... , რომ ის ნატოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მიიღებდა მონაწილეობას. [რა ქნა? — აღნიშვნა]
8. ბატონმა დავითმა კარგად რაიონში შექმნილი სიტუაცია. [რა ქნა? — აღწერს].

1.8. გამოთვებულ ადგილას ჩასვით -თან, -დან, -ში და -ზე თანდებულები!

საღამოს 5 საათი იყო, როცა შენ..... წამოსვლა მომინდა. ვფიქრობდი, სამსახური..... წასული არ იქნება-მეთქი. როცა შენს კაბინეტ..... შემოვედი, დავინახე, რომ მაგიდა..... საქართველოს კონსტიტუცია იდო. ძალიან დავინტერესდი და წიგნი გადავშალე. უცებ დავინახე, რომ კარებ..... შენი თანაშემწე იდგა და გაკვირვებული მიყურებდა.

— რას კითხულობთ? — მკითხა მან და თვალე..... შემომხედა.

— საქართველოს კონსტიტუციას ვათვალიერებ, — ვუპასუხე მე და კითხვა განვაგრძე.

— ეს ძველი გამოცემაა. მას შემდეგ პარლამენტმა რამდენიმე მუხლი შეცვალა, ამიტომ ახალ გამოცემას

მოგცემთ, — მითხრა თანაშემწემ და თარო..... წითელ ყდაში ჩასმული კონსტიტუცია მომაწოდა. ახლადა შევნიშნე, რომ მას ხელ..... საბუთების შეკვრა ეჭირა. როგორც ჩანს, ხელმოსაწერად ჰქონდა გამზადებული და კაბინეტში მე არ მელოდა.

— ბატონი გიორგი სამინისტრო..... აპირებდა წასვლას, ახლა, ალბათ, იქ არის, მე კი მას..... მნიშველოვანი საქმე მქონდა, — თქვა თანაშემწემ და კაბინეტი..... გავიდა.

1.9. უპასუხეთ კითხვას რა? და შეავსეთ უჯრები!

N	რას შვრება? //რას იზამს?	რა?
	აკრძალავს	აკრძალვა
	მართავს	მართვა
1	მოიპარავს	
2	დამალავს	
3	გამართავს	
4	დაკარგავს	
5	გამოკითხავს	
6	განიხილავს	
7	ხარჯავს	
8	დაიცავს	
9	დახატავს	

1.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: ებოში ...დამალვას... აზრი არა აქვს, მაინც დაგინახვენ. [დამალვა]

- პრემიერ-მინისტრი სახელმწიფოს გამო საოჯახო საქმეებისთვის ველარ იცლიდა. [მართვა]
- დამოუკიდებლობის ჩვენი ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზას ააცდინა. [დაკარგვა]
- საერთო-სახალხო საზოგადოებრივი აზრი უნდა დადგინდეს. [გამოკითხვა]

4. ფულის უმიზნოდ ცუდი შედეგი გამოიღო და ჩვენი ფირმაც დაიხურა. [დახარჯვა]
5. საკუთარი უფლებების უკეთეს სახელმწიფოს ავაშენებთ. [დაცვა]
6. ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის ცხარე კამათი გამოიწვია. [განხილვა]
7. სახელმწიფო დაწესებულებებში თამბაქოს მოწევის შემდეგ ადამიანების ჯანმრთელობა გაუმჯობესდება. [აკრძალვა]

ნაწილი 2

საკანონმდებლო პროცესი

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა / შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	კანონების მიღებასთან დაკავშირებული მოქმედებები.
2. -----	იგივეა, რაც რაიმეს წამოწყება, რაიმე წინადადების შეთავაზება.
3. -----	კანონად წარმოდგენილი პროექტი, რომელიც პარლამენტმა უნდა განიხილოს.
ამომრჩეველი	4. -----
ვეტოს გადალახვა	5. -----

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ –ით!

N		სწორი	არასწორი
	საკანონმდებლო საქმიანობა პარლამენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა.	✓	
1	პარლამენტი კანონებს წინასწარ დადგენილი წესების მიხედვით არ იღებს.		
2	საკანონმდებლო პროცესებს 4 ეტაპი აქვს.		
3	საკანონმდებლო ინიციატივა კანონის მიღებას არ სჭირდება.		

4	კანონის გამოქვეყნება საკანონმდებლო პროცესების ბოლო ეტაპია.		
5	საკანონმდებლო ინიციატივის უფლება საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის წევრებს არა აქვთ.		
6	საკანონმდებლო ინიციატივა კანონპროექტის ტექსტის წარდგენას ნიშნავს.		
7	პარლამენტში კანონპროექტს მისი თავებისა და მუხლების მიხედვით არ განიხილავენ.		
8	პრეზიდენტმა 10 დღის ვადაში ხელი უნდა მოაწეროს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს და გამოაქვეყნოს.		
9	პრეზიდენტს არ აქვს უფლება კანონპროექტი უკან დააბრუნოს.		
10	თუ პარლამენტი გადალახავს პრეზიდენტის ვეტოს, მაშინ ის უბრუნდება პრეზიდენტს ხელმოსაწერად.		
11	პარლამენტის თავმჯდომარეს კანონპროექტზე ხელმოწერისა და მისი გამოქვეყნების უფლება არა აქვს.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: წინასწარი მოსმენაბ.....

ბ. აქ: კანონპროექტის მოსმენა-განხილვა საკომიტეტო სხდომებზე, ანუ მანამდე, ვიდრე მოსმენა საპარლამენტო სხდომაზე დაიწყება.

1. უარყოფა

2. კანონის მიღება

3. დადგენილი

4. დებულება

5. ეტაპი

ა. იგივეა, რაც დაწესებული .

ბ. აქ: წერილობით ჩამოყალიბებული აზრი, წესი.

გ. იგივეა, რაც საფეხური.

დ. დაკანონება პარლამენტის მიერ.

ე. იგივეა, რაც უარის თქმა.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რა?	როგორი?
	ოპოზიცია --->	ოპოზიციური
1	რელიგია --->	
2	იდეოლოგია --->	
3	სიმბატია --->	

N	რა?	როგორი?
	დემოკრატია --->	დემოკრატიული
1	აგრესია --->	
2	ადმინისტრაცია --->	
3	დისკრიმინაცია --->	
4	თეორია --->	
5	იმპერია --->	
6	პარტია --->	
7	მონარქია --->	

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში:მონარქიული მმართველობის... გამო ქვეყნის განვითარება შეიძლება შეფერხდეს. [მონარქიული მმართველობა]

1. იმპერიალისტური ქვეყნები მიმართავდნენ და კონფლიქტებს არ ერიდებოდნენ. [აგრესიული პოლიტიკა]
2. განვითარების დიდი ხნის ისტორია აქვს. [დემოკრატიული მმართველობა]
3. ამ პარლამენტმა კენჭი არ უყარა. [დისკრიმინაციული კანონპროექტი]

4. საკუთარი პრეტენზიები გამოთქვას და უფლებადამცველს წერილობით წარუდგინეს. [რელიგიური უმცირესობები]
5. ახალი გუბერნატორი თავისი კმაყოფილია. [ადმინისტრაციული რეფორმა]
6. დაცვა ჩემი მოვალეობაა, რადგან ამ პარტიის წევრი ვარ. [პარტიული ინტერესები]
7. საპარლამენტო არჩევნების დროს ხმების უმრავლესობა მიიღო და გაიმარჯვა. [ოპოზიციური პარტია]
8. გამო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის უთანხმოება ჩამოვარდა. [იდეოლოგიური ბრძოლა]

2.6. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ჩვენს კონსტიტუციას.... აუცილებლად წავიკითხავ. [ჩვენი კონსტიტუცია]

1. მე ვერ დავიცავ, ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. [თქვენი უფლებები]
2. სხდომაზე ხომ მოხვალ? არ დააგვიანო! [შენი ფრაქცია]
3. ნატოს ოპერაციებში მიიღეს მონაწილეობა. [ქართველი ჯარისკაცები]
4. მაშინ დაკარგავთ, როცა თანამდებობაზე აღარ იქნებით. [თქვენი ძალაუფლება]
5. გთხოვთ, იმოქმედოთ, თორემ ფინანსურად დაჯარიმდებით. [დადგენილი წესი]
6. განხილვა ხვალ დილის 10 საათზე განახლდება. [ახალი კანონპროექტი]
7. ჩვენ წარვდგებით პარლამენტის თავმჯდომარის წინაშე. [ძირითადი მოთხოვნები]
8. სამწუხაროდ, შესრულება დაგავიწყდათ, ამიტომ საყვედურს გიცხადებთ. [თქვენი მოვალეობები]
9. კანონპროექტის შემდეგ ის მნიშვნელოვნად შეასწორეს. [პირველი მოსმენა]
10. ჩვენი პარტიის მიერ შეთავაზებული ინიციატივა მოიწონა. [წარმომადგენლობითი ორგანო]

2.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: მოწესრიგდა, განიხილეს, შეიქმნა, შეეწინააღმდეგა, გამოცხადდა!

1. შემაჯამებელ საპარლამენტო სხდომაზე თქვენი ფრაქცია არ
2. ახალი ხელმძღვანელის დანიშვნით საქმე და მდგომარეობა გაუმჯობესდა.
3. ბატონ თამაზს თანამშრომელი ვერ, რადგან ის მართალი არ იყო.
4. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუცია 1921 წელს
5. პარლამენტარებმა 2 თვის წინ წარმოდგენილი კანონპროექტი უკვე და მოიწონეს.

2.8. წინადადებები გადაიყვანეთ წარსულ დროში; უპასუხეთ კითხვას: რა ქნა?

ნიმუში: ასეთი უკანონობა ვერ დაიძალა.

.....ასეთი უკანონობა ვერ დაიძალა.....

1. ახალი მოწვევის პარლამენტი სულ 150 პარლამენტარისაგან შედგება.
.....
2. თქვენი დამოკიდებულების შედეგი მალე გამოჩნდება.
.....
3. ბევრ ქვეყანაში დემოკრატიის ფორმები დაწესდება.
.....
4. თქვენ მიერ მოტანილი დოკუმენტები არქივში დარჩება.
.....
5. სახელმწიფო მოხელეები კეჭისყრას დაელოდებიან.
.....
6. ორგანიზაციის განყოფილებებში ახალი მმართველები დაინიშნებიან.
.....
7. პარლამენტის თავმჯდომარე საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას უძღვება.
.....
8. დილით საგანგებო სხდომა შედგება.
.....
9. სამთავრობო ორგანოების გასაკონტროლებლად ახალი დეპარტამენტი იქმნება.
.....

10. პარლამენტში ახალი უმრავლესობა ჩამოყალიბდება.

.....

2.9. გამოტოვებული ადგილას ჩასვით ფორმები: გარდა და ნაცვლად!

ნიმუში: თქვენნაცვლად..... მე ვიმუშავე, არ ინერვიულოთ.

1. სიცოცხლის უფლების თქვენ სხვა მნიშვნელოვანი უფლებებიც გაქვთ.
2. არ შეიძლება, რომ ჩვენ თქვენ მოგთხოვონ პასუხი.
3. მაგ ბინის უკეთესს შევარჩევდი და ისე ვიყიდდი.
4. სამსახურში შენ ნინო აბაშიძე ივლის, ამიტომ არ იდარდო.
5. კონსტიტუციის ერთი მუხლის ჩემთვის ყველა მისაღებია.
6. გაცემული ვარ, მათ კონკურსისთვის სხვა სტუდენტები ვერ შეარჩიეთ?!
7. თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთა მართვის მთავარ ფუნქციებს მონარქების პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები ინაწილებენ.
8. ეთნიკურ უმცირესობათა ოფიციალურ შეკრებას ეთნიკური ქართველებიც ესწრებოდნენ.
9. ასეთი მმართველობის უმჯობესია დემოკრატიულ ფორმებზე გადავიდეთ.
10. ჩემი ოჯახის წევრების იქ არავინ იყო.

2.10. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: ამრიგად; მაშასადამე!

ნიმუში: მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი შინაარსის ცოდნა ყველა მოქალაქისათვის სასარგებლოა.

ან:

ამრიგად, საქართველო ჩემი სამშობლოა.

1.
2.
3.
4.

2.11. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: თუ, მაშინ..... ; ან: მაშინ....., თუ.....!

ნიმუში: ...თუ... საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება გვინდა, ...**მაშინ**... პოლიტიკური პარტიები თანაბარ პირობებში უნდა ჩავაყენოთ.

1. კანონპროექტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, პარლამენტი მას მხარს არ დაუჭერს.
2. მმართველობის ფორმა დემოკრატიულია, ქვეყანაში ადამიანის უფლებები კარგად არის დაცული.
3. არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ, სამოქალაქო ვალდებულების შესრულებაზე ვამბობთ უარს.
4. არის არჩევითობის პრინციპი ქვეყანაში, ის დემოკრატიის გზაზე დგას.
5. სახელმწიფოს გონიერი ადამიანები მართავენ, ქვეყნის საქმე კარგად მიდის.
6. რომელიმე პარტიას პარლამენტში ოცი დეპუტატი ეყოლება, ისინი საკუთარ ფრაქციას შექმნიან.
7. საქართველოში საგანგებო სიტუაცია გამოცხადდება, საქართველოს პრეზიდენტი სპეციალურ ბრძანებას გამოაქვეყნებს.
8. შევძლებ ჩემი სიმართლის დამტკიცებას, დირექტორმა ყურადღებით მომისმინა.

ნაწილი 3**პარლამენტის არჩევნები და მისი დათხოვნა. იმპიჩმენტი, რეფერენდუმი****3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	მოქმედების დაწყება, ამუშავება.
2. -----	იგივეა, რაც ნდობის არქონა.
3. -----	საპარლამენტო განხილვის წესი, რომლის მიზანია მაღალი თანამდებობის პირის, მაგალითად, პრეზიდენტის გადაყენება.
უფლებამოსილება	4. -----
რეფერენდუმი	5. -----

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ –ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღს პრემიერ-მინისტრი ნიშნავს.		✓
1	ახლად არჩეული პარლამენტი მუშაობას იწყებს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში.		
2	პარლამენტის ამოქმედებისათვის საჭიროა, არჩეული იყოს ყველა დეპუტატი.		
3	საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია პარლამენტის დათხოვნა, თუ პარლამენტი უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას და დადგენილი წესით ვერ შეარჩევს ახალ მთავრობას.		
4	თუ პარლამენტი 2 თვის განმავლობაში ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტს, პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი.		
5	დათხოვილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ საგანგებო ან საომარი სიტუაციების დროს.		
6	პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს მისი იმპიჩმენტის პროცედურის დროს.		
7	იმპიჩმენტი კონსტიტუციით განსაზღვრული პროცედურა არ არის.		
8	იმპიჩმენტი მაღალი თანამდებობის პირთა იურიდიული პასუხისმგებლობის შემთხვევაში გამოიყენება.		
9	პრეზიდენტის გადაყენების საკითხი პარლამენტართა ერთ მესამედზე მეტმა უნდა დასვას.		
10	რეფერენდუმი საერთო-სახალხო გამოკითხვაა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხების გადასაწყვეტად იმართება.		
11	საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს არა აქვს რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება.		

3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ვ]:

ნიმუში: თარიღიბ.....

ბ. კალენდარული რიცხვი.

1. იურიდიული პასუხისმგებლობა
2. არაუგვიანეს
3. შემადგენლობა
4. რიგგარეშე
5. საგანგებო მდგომარეობა
6. დადასტურება

ა. დრო, რომელზე გვიან ქმედების შესრულება არ შეიძლება.

ბ. არის ის, რისგანაც ან ვისგანაც შედგება ესა თუ ის საგანი.

გ. აქ: იგივეა, რაც დადგენილი წესის გარეშე, საერთო წესიდან ამოვარდნით.

დ. იგივეა, რაც დათანხმება.

ე. სამართალდამრღვევის მიმართ იძულების ზომის მიღება.

ვ. მდგომარეობა, რომელიც განსაკუთრებულია, სპეციალურია (მაგალითად, სტიქიური უბედურების შემთხვევა).

3.4. უპასუხეთ კითხვებს!

ნიმუში: ვინ არის ის, ვინც ძალადობს, ძალას იყენებს?

..... მოძალადე.....

1. ვინ არის ის, ვინც სამართალს ადგენს, ასამართლებს?
.....
2. ვინ არის ის, ვინც წინააღმდეგობას უწევს, ეწინააღმდეგება?
.....
3. ვინ არის ის, ვისაც ვინმეს ან რაიმეს მხარე უჭირავს?
.....
4. ვინ არის ის, ვინც ცეკვავს?
.....
5. ვინ არის ის, ვინც ნადირობს?
.....

6. ვინ არის ის, ვინც თამაშობს?

.....

7. ვინ არის ის, ვინც კამათობს?

.....

8. ვინ არის ის, ვინც დავობს?

.....

9. ვინ არის ის, ვინც რაიმეში მონაწილეობს?

.....

ასეთივე სიტყვებია: **მოხელე, მოწმე.**

3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: სხდომის ...ერთ-ერთმა მონაწილემ... თავი ველარ შეიკავა და დარბაზი დატოვა. [ერთ-ერთი მონაწილე]

- ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. [კარგი მოსამართლე]
- ყურადღება სატელევიზიო სიუჟეტზე გადაიტანა. [ჩემი მოწინააღმდეგე]
- ასეთ მომავალში წარმატება ელის. [პოლიტიკური მოთამაშე]
- ვფიქრობ, რომ ბევრად მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. [სახელმწიფო მოხელე]
- კარგად იცის, რომ არჩევნებში მისი მონაწილეობა სამოქალაქო ვალდებულებაა. [ნამდვილი მოქალაქე]
- ერთხელ საოცარი რამ მიაშობო. [ძველი მონადირე]
- გული ცუდად გაუხდა და სასწრაფო დახმარების გამოძახება დასჭირდა. [ხნიერი მოწმე]

3.6. ააგეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით!

ნიმუში: ...მაღლე წამოვალ და შენთან ვიქნები არაუგვიანეს 5 საათისა... [არაუგვიანეს]

1.

[არაუადრეს]

2.

[არანაკლებ]

3.

[არაუმეტეს]

4.

[არაუმცირეს]

3.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები! გამოიყენეთ –*გე* და –*ში* თანდებულები!

ნიმუში: საქართველოსკონსტიტუციაში.... სპეციალური მუხლებია, რომლებიც უმცირესობათა უფლებებს იცავს. [კონსტიტუცია]

1. არ მეშინია, რადგან ქართული სახელმწიფო თითოეულ ზრუნავს. [მოქალაქე]

2. შენს პირად ჩარევა აზრად არ მომსვლია. [ცხოვრება]

3. ძალიან მინდა, პოლიტიკურ გავერთიანდე. [პარტია]

4. მონაწილეობაზე რა აზრის ხარ? [რეფერენდუმი]

5. საქართველოში კიდევ ვინ ზრუნავს ადამიანის ? [უფლებები]

6. საკანონმდებლო პარლამენტის თავმჯდომარე გაგცემთ პასუხს. [პროცესი]

7. ამ მე დამნაშავე არა ვარ. [საქმე]

8. ასეთი არგუმენტებით თქვენ გავლენას ვერ მოახდენთ. [პრეზიდენტი]

9. დასკვნით ყველას მადლობა გადაუხადე მობრძანებისათვის. [სიტყვა]

10. მე-4 მუხლის მე ამის უფლება მენიჭება. [საფუძველი]

3.8. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში:მის წინააღმდეგ.... სიტყვის თქმა ვერავინ გაბედა. [მის წინააღმდეგ]

1.

[ჩვენ წინააღმდეგ]

2.

[მათ წინააღმდეგ]

3.

[უფლებების წინააღმდეგ]

4.

[უსამართლობის წინააღმდეგ]

5.

[გადაწყვეტილების წინააღმდეგ]

3.9. დააკვირდით შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

ხელი დაადო — დააბრალა რაიმე, დამნაშავედ გამოაცხადა.

ხელი დააფარა — ვილაცის დანაშაული დამალა, დაიცვა.

ხელი მოჰკიდა — საქმე დაიწყო, საქმეს შეუდგა.

ხელი დაიბანა — საქმეში არ ჩაერია, განზე გადგა.

ნიმუში: ამ საქმეში მეც ვარ დამნაშავე, ხელს ვერ დავიბან.

1.


[ხელი დაადო]

2.

[ხელი დააფარა]

3.

[ხელი მოჰკიდა]



3.10. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოთოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

სადგურში მიმავალ სამარშრუტო ტაქსიში ავედი და უკანა სავარძელი დავიკავე. ძალიან ცხელოდა, ამიტომ თითქმის ყველა ფანჯარა ღია იყო. გადაჭედულ ტრანსპორტში შემოსული ნიავე საქმეს ვერ შევლოდა, მგზავრები სულს ძლივს იბრუნებდნენ. საერთო მცუდროება ქალის ხმამ დაარღვია:

— თქვენ მე საფულე ამომაცალეთ! — გაბრაზებით მიმართა გვერდით მჯდომ ყმაწვილს და თითქმის დანაშაულზე წაასწრო, შეუბრალებლად ბიჭი დაიბნა. ვხედავდი, მის კეთილ სახეს შიშმა როგორ გადაურბინა და ფეხზე წამოვდექი.

— მანქანა გააჩერეთ! — მივმართე მძღოლს და „დამნაშავეს“ სკამთან გავჩერდი. ადვოკატობის დიდი ხნის გამოცდილება მქონდა, მივხვდი, რომ ქურდობას აბრალებდა და ბიჭის დაცვა ვცადე.

— კარგად ამ არამზადას, თქვენც მისნაირი იქნებით! — არ ჩუმდებოდა ქალი, ყმაწვილს ტანისამოსიანად აჯანჯლარებდა და ხელს არ უშვებდა. არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა საერთო არეულობა, მძღოლს რომ არ დაეყვირა:

— კიბეზე რაღაც გდია, ქალბატონო, თქვენი საფულე ხომ არ არის?! ასე როგორ შეიძლება?!

ბიჭმა ღრმად ამოისუნთქა, მადლიერი თვალებით გადმოგვხედა და ტრანსპორტიდან ჩავიდა.

საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა

ნაწილი 1

საქართველოს პრეზიდენტი

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	შეიარაღებული ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა ტიპის ჯარებისაგან შედგება.
2. -----	ჯარების მეთაური, უმაღლესი პირი.
3. -----	პირი, რომელიც რომელიმე თანამდებობაზე უნდა აირჩიონ ან დანიშნონ.
ტური	4. -----
ეროვნული უშიშროების საბჭო	5. -----

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი არ არის სახელმწიფოს მეთაური.		✓
1	კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია.		
2	საქართველოს პრეზიდენტი პირველად 1991 წელს აირჩიეს.		
3	საქართველოს პრეზიდენტს ღია კენჭისყრის წესითა და 4 წლის ვადით ირჩევენ.		
4	არჩევნების თარიღს არ ადგენს პრეზიდენტი.		
5	ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად მხოლოდ ორჯერ შეიძლება აირჩეს.		
6	თუ ვერცერთმა კანდიდატმა ხმების ნახევარზე მეტი ვერ დააგროვა, ქვეყანაში არჩევნების მეორე ტური ინიშნება.		

7	ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე 40 წლიდან.		
8	თუ პარლამენტი დათხოვილია, მაშინ პრეზიდენტის მოვალეობას პრემიერ-მინისტრი ასრულებს.		
9	წელიწადში ერთხელ პრეზიდენტი პარლამენტის სხდომაზე მოხსენებით გამოდის.		
10	ეროვნული უშიშროების საბჭოს პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.		
11	ეკოლოგიური კატასტროფებისა და ეპიდემიების დროს პრეზიდენტი ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს.		
12	საქართველოს პრეზიდენტს მსჯავრდებულების შეწყალების უფლება არა აქვს.		
13	საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია გადაწყვიტოს, ვის მიანიჭოს ქვეყნის მოქალაქეობა.		
14	საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს არჩევნებსა და რეფერენდუმს ქვეყანაში.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: საყოველთაობ.....

ბ. ყველასთვის განკუთვნილი.

1. მსჯავრდებული
2. წოდება
3. თანასწორი
4. უშიშროება
5. მინიჭება
6. მოხსენება

ა. იგივეა, რაც ბოძება, მიცემა.

ბ. იგივეა, რაც ტოლი, თანაბარი.

გ. იგივეა, რაც თავდაცვა.

დ. პირი, რომლის მიმართ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი.

ე. ის კანონით დადგენილ სახელწოდებას, კვალიფიკაციას ეწოდება, მაგალითად, ოფიცერი, გენერალი და სხვ.

ვ. საჯარო გამოსვლა, რომელიც რაიმე საკითხების ანალიზს ან მსჯელობას მოიცავს.

1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

	[ვინმეს ან რაიმეს] მეონე	[ვინმეს ან რაიმეს] არმეონე
	საქმიანი	უსაქმო
1	ვადიანი	
2	ფორმიანი	
3	ცოლიანი	
4	ვადიანი	
5	სამართლიანი	
6	აზრიანი	
7	რიგიანი	
8	უნარიანი	
9	ფულიანი	
10	შარვლიანი	

რიგიანი — იგივეა, რაც: წესიერი.

ურიგო — უწესო.მაგ., რიგიანი ქცევა; ან: ურიგო სიტყვები.

უნარი — იგივეა, რაც: შესაძლებლობა. მაგ., უნარიანი ახალგაზრდაა; ან: უუნარო მოხუცია.

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: მაგ ...უაზრო სიტყვებს.... ნუ მეუბნები, სჯობს, თავი შეიკავო! [უაზრო სიტყვები]

- ერთი გამო ჩვენც უნდა გვაგებინონ პასუხი. [უსინდისო ახალგაზრდა]
- დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა არ შეუძლია, ამიტომ შრომის კანონი უნდა გავაუმჯობესოთ. [უუფლებო ადამიანი]
- ამ , შესაძლებელია, მნიშვნელოვანი პრობლემა შექმნას. [უვადო ხელშეკრულება]
- ჩემ წინ გადაირბინა და უცნობ მამაკაცს გამოეკიდა. [ფორმიანი პოლიციელი]
- რა უნდა ქნას , რომელსაც ელემენტარული შემოსავალიც არა აქვს?! [უფულო კაცი]

6. ამ ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევთ. [უსამართლო გადაწყვეტილება]
7. პატარა გიორგი ბავშვთა სახლიდან წამოიყვანა და გაზარდა. [უშვილო ცოლ-ქმარი]
8. ცალკე პალატაში გადაიყვანენ და საგანგებოდ მოუვლიან. [უუნარო ავადმყოფები]

1.6. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნაცვალსახელები: *თვითონ, თვით, თავად!*

ა. თვითონ

1. არ გამიბრაზდეს, ეგ საქმე მე გავაკეთე ისე, რომ სხვისთვის არაფერი მიკითხავს.
2. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო და 10 სტუდენტი დააფინანსა.
3. პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა მოისურვოს ჩვენთან შეხვედრა.

ბ. თვით

1. ასეთი მუხლი საქართველოს კონსტიტუციაშიც არ არის.
2. პრეზიდენტმა აღიარა, რომ ამ საპარლამენტო სხდომას ისიც უნდა დასწრებოდა.
3. პრემიერ-მინისტრიც ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, როგორმაც შეიძლება ხალხის უკმაყოფილება გამოიწვიოს.

გ. თავად

1. მივხვდები, უნდა ვაპატიო თუ არა ასეთი შეცდომა.
2. ორი დღე დამჭირდება, მაგრამ შევეცდები შევამოწმო ყველა იურიდიული დოკუმენტი.
3. საკომიტეტო სხდომაზე მომიწევს აბრის გამოთქმა.

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნაცვალსახელები: *ყველა, ყოველი, თითოეული!*

ა. ყველა

1. საქართველოს მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია.
2. საბუთი ერთად შემომიტანეთ, ცალ-ცალკე ნუ მოგაქვთ!
3. ჩემს დაწესებულებაში აქვს სამედიცინო დაზღვევა.
4. სამინისტროს დაეგზავნება პრეზიდენტის დღევანდელი განკარგულება.

ბ. ყოველი

1. ამ საქციელზე ჩვენგანს მოეთხოვება პასუხი.
2. ორგანიზაციას თავისი შიდა წესები აქვს, ამიტომ ამ საქმეში ჩვენ ვერ ჩავერევით.
3. ასეთმა ფაქტმა შესაძლებელია ჩვენი კომპანიის იმიჯზე იმოქმედოს.

გ. თითოეული

1. კონსტიტუციის მუხლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გარანტია უნდა იყოს.
2. გთხოვთ, ჩემი გადაწყვეტილება თანამშრომელს გააცნოთ.
3. ჩვენს კანცელარიაში შემოტანილ განცხადებას მე ვაწერ ხელს.
4. თქვენგანმა კარგად უნდა იცოდეს, რა ძირითადი უფლებები და მოვალეობები აქვს!

1.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით –დან და –კენ თანდებულები!

საღამო ხანი იყო, როცა პარლამენტის შენობი..... დაღლილი გამოვედი და მივხვდი, რომ ხელჩანთა კაბინეტში დამრჩა. კარისა..... შევბრუნდი, დერეფანი გავიარე, დავინახე, რომ ჩემი კოლეგა თავისი ოთახი..... ცოტა დაბნეული და განერვიულებული გამოვიდა. მეც იქით..... წავედი. მეჩქარებოდა, მაგრამ მაინც გავჩერდი და განერვიულების მიზეზი ვკითხე. აღმოჩნდა, რომ მისი ოთახი..... ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო დაკარგული. ძალიან შევწუხდი, აღარ ვიცოდი, როგორ დავხმარებოდი. ბოლოს ვუთხარი, იქნებ დაგავიწყდათ და სხვაგან დადეთ-მეთქი. ამ დროს ლიფტი..... მისი თანაშემწე გამოვიდა და პირდაპირ ჩვენ..... წამოვიდა. როგორც ჩანს, ნერვიულობა შეგვატყო.

— თქვენს საბუთს პარლამენტის თავმჯდომარემ ხელი მოაწერა, ახლა მისი კაბინეტი..... მოვდივარ,
— თქვა თანაშემწემ და საქალაქი..... ბეჭდიანი დოკუმენტი ამოიღო. ორივემ ღრმად ამოვისუნთქეთ.

1.9. შეავსეთ უჯრები და უპასუხეთ კითხვას რა?

N	რას იზამს?	რა?
	განაცხადებს --->	განცხადება
1	განავითარებს --->	
2	განაზოგადებს --->	
3	განაქორწინებს --->	
4	განათავისუფლებს --->	

5	განახორციელებს --->	
6	განასხვავებს --->	
7	განიზრახავს --->	
8	განიხილავს --->	

1.10. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ... მათი განქორწინების ამბავი რომ გავიგე, ძალიან ვინერვიულე..... [მათი განქორწინება]

1.

[ჩემი განცხადება]

2.

[ქვეყნის განვითარება]

3.

[სამსახურიდან განთავისუფლება]

4.

[კანონის განხილვა]

5.

[ცუდი განზრახვა]

ნაწილი 2

საქართველოს მთავრობა

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	უფლებამოსილების შეწყვეტა.
2. -----	უმაღლესი თანამდებობის პირი გუბერნიაში.
3. -----	აქ: კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობა, ვალდებულება.
უფლებამოსილების მოხსნა	4. -----
მოვალეობის დაკისრება	5. -----

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველოს მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა.	✓	
1	აღმასრულებელი ხელისუფლება წარმართავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.		
2	მთავრობა მხოლოდ მინისტრებისაგან შედგება.		
3	მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი კანონითაა განსაზღვრული.		
4	პარლამენტში მთავრობის შესახებ შექმნილ კანონპროექტს პრეზიდენტი წარადგენს.		
5	პრემიერ-მინისტრის გადადგომით მინისტრებს უფლებამოსილებანი უწყდებათ.		
6	გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობა.		
7	საქართველოს მთავრობა პარლამენტს ანგარიშს არ აბარებს.		
8	როცა საქართველოს პარლამენტი ნდობას გამოუცხადებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს.		
9	პარლამენტს მთავრობის კონტროლის ფუნქცია არა აქვს.		
10	ახალი პარლამენტის არჩევისთანავე მთავრობას უფლებამოსილება ეხსნება.		
11	ძველი მთავრობა თავისი ფუნქციების შესრულებას მანამდე აგრძელებს, სანამ ახალი მთავრობა არ დაკომპლექტდება.		
12	არჩევნებში გამარჯვებულ საარჩევნო სუბიექტს პრემიერ-მინისტრის წარდგენის უფლება არა აქვს.		
13	პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს მინისტრთა შესარჩევად 12 დღე აქვს.		
14	7 დღის ვადაში პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის ახალ მთავრობას.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: სფერობ.....

ბ. აქ: დარგი.

1. დაკომპლექტება

2. საარჩევნო სუბიექტი
3. სტრუქტურა
4. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული
5. ნდობის გამოცხადება

ა. რაიმეს აგებულება, ფორმა.

ბ. აქ: თანამდებობრივ პოზიციებზე თანამშრომელთა აყვანა.

გ. ქვეყნის ტერიტორიული და ადმინისტრაციული მმართველობის ერთი ნაწილი. მასში ავტონომიური რესპუბლიკა ან მუნიციპალიტეტი იგულისხმება.

დ. ვინმეს მიმართ რწმენა, მისი დაჯერება, იმედის ქონა.

ე. ის შეიძლება იყოს პირი, პარტია ან პარტიული ბლოკი, რომელზეც კენჭს იყრიან არჩევნებზე.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორ? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N		როგორ?
	შეხვედრების მიხედვით --->	შეხვედრებისამებრ
1	დანიშნულების მიხედვით, მის მსგავსად --->	
2	ჩვეულების მიხედვით, მის მსგავსად --->	
3	დაპირების მიხედვით, მის მსგავსად --->	
4	წესის მიხედვით, მის მსგავსად --->	
5	ნების მიხედვით, მის მსგავსად --->	
6	სურვილის მიხედვით, მის მსგავსად --->	

2.5. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ხომ ხედავ, ...დაპირებისამებრ მოვედი.... და არ დავაგვიანე. [დაპირებისამებრ მოსვლა]

1. ფინანსური პოლიცია ჩვენს ორგანიზაციას საერთო [წესისამებრ გაკონტროლება]
2. ის თავისი და ყველაფერი გააფუჭა. [სურვილისამებრ მოქცევა]
3. გთხოვთ, ეს განცხადება [დანიშნულებისამებრ გაგზავნა]
4. დირექტორმა თანამდებობაზე ჩემი დანიშვნის საკითხი თავისი

[შეხვედრებისამებრ გადაწყვეტა]

5. ამ თანამშრომელმა სამსახურში, ამიტომ საყვედური უნდა გამოვეცხადოთ. [ჩვეულებისამებრ დაგვიანება]

2.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: გთხოვთ, ყველა ...საარჩევნო სუბიექტს... გადაუგზავნოთ პრეზიდენტის ახალი ბრძანებულება.
[საარჩევნო სუბიექტი]

1.
[საკანონმდებლო ორგანო]

2.
[სამოქალაქო ვალდებულება]

3.
[სხვა სახელმწიფოები]

4.
[საგარეო პოლიტიკა]

5.
[საგანგებო მდგომარეობა]

6.
[უსამართლო გადაწყვეტილება]

2.7. პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: გამოუცხადებია, მოუხსნია, დაუკისრებია, გაუკონტროლებია!

ნიმუში:	ახლანდელი	წარსული	
მე ვჭრი	ჩვენ ვჭრით	მე დამიჭრია	ჩვენ დაგვიჭრია
შენ ჭრი	თქვენ ჭრით	შენ დაგიჭრია	თქვენ დაგიჭრიათ
ის ჭრის	ისინი ჭრიან	მას დაუჭრია	მათ დაუჭრიათ

1.

ახლანდელი	წარსული		
მე ვაცხადებ	ჩვენ	მე გამომიცხადებია	ჩვენ

შენ თქვენ შენ თქვენ
 ის ისინი მას მათ

2.

ახლანდელი წარსული
 მე ვხსნი ჩვენ მე მომიხსნია ჩვენ
 შენ თქვენ შენ თქვენ
 ის ისინი მას მათ

3.

ახლანდელი წარსული
 მე ვაკონტროლებ ჩვენ მე გამიკონტროლებია ჩვენ
 შენ თქვენ შენ თქვენ
 ის ისინი მას მათ

2.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: გაუთავისუფლებია, დაუსჯია, უმოქმედია, განუხორციელებია, შემისრულებია, უცხოვრია, შეუწყალებია!

1. მიმდინარე წელს საქართველოს პრეზიდენტს 102 მსჯავრდებული
2. ბატონ გივის თანამშრომელი ხშირი გაცდენის გამო სამსახურიდან
3. მას საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, ამიტომ პოლიციას დაუკავებია.
4. ქ-ნ ლიას საქართველოში დიდხანს არ, ამიტომ მისი არჩევის საკითხი უნდა გადავდოთ.
5. ცუდი საქციელის გამო მასწავლებელს მკაცრად თავისი მოსწავლეები.
6. თქვენი დავალება ჯერ არ, რადგან ფრაქციის სხდომაზე ვიყავი.
7. ახალდანიშნულ მდივანს თავისი მოვალეობები ვერ, ამიტომ საყვედურს გამოვუცხადებთ.

2.9. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: *რა თქმა უნდა; რასაკვირველია!*

ნიმუში: მე, რასაკვირველია, აუცილებლად დავესწრები საპარლამენტო სხდომას.

ან: რა თქმა უნდა, საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი გარანტია.

1.
2.
3.
4.

2.10. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვებით: *ისე...., როგორც; ან: როგორც, ისე!*

ნიმუში: ჩემმა თანამშრომელმა**ისე**..... გაიმართლა თავი,**როგორც**..... უდანაშაულო ბავშვმა.

1. რებომ მეზობლისგან შეიძინა პატარა მიწის ნაკვეთი, ამას კანონი ავალდებულებდა.
2. წარიმართა საქმე, ჩვენ გვსურდა.
3. ამხელა ბაზარი შეშინებული ადამიანებისაგან სწრაფად დაცარიელდა, პატარა მაღაზია.
4. წავალ შენგან, სრულიად უცხო ადამიანი.
5. ფინანსთა მინისტრმა გვითხრა, ჩვენც მოვიქცეთ.
6. კონსტიტუციის მე-2 მუხლის გაგება, მათ ესმით, არ შეიძლება.
7. გარემოება მიკარნახებს, მოვიქცევი.
8. ჩემი პასპორტი ეგდო იატაკზე, უპატრონო ნივთი.
9. მითხარით, დავაწყვე თქვენ მიერ გადმოგზავნილი საბუთები.
10. მისი ტრაგედია განვიცადე, ოჯახის წევრმა.

ნაწილი 3**ადგილობრივი თვითმმართველობა****3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ტერიტორიული ერთეულის დამოუკიდებელი მმართველობა, რომელსაც არჩევნების გზით უყრიან კენჭს.
2. -----	ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანო.
3. -----	ის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა.
გამგეობა	4. -----
მერია	5. -----

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	ადგილობრივი თვითმმართველობას მუნიციპალიტეტები ახორციელებენ.	✓	
1	მუნიციპალიტეტი ორი სახისაა: ქალაქისა და თემისა.		
2	თემი რამდენიმე დასახლებისაგან შედგება.		
3	დასახლებას უნდა ჰქონდეს თავისი ტერიტორია, ადმინისტრაციული საზღვრები და სახელწოდება.		
4	დასახლების კატეგორიებია: ქალაქი, დაბა, სოფელი.		
5	მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოა საკრებულო.		
6	საკრებულოს 5 წლის ვადით ირჩევენ.		
7	საკრებულოს თავმჯდომარე მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირია.		
8	მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების უფლება არა აქვს.		
9	მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას უსასყიდლოდ ახორციელებს.		

10	ანაზღაურებას მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირები იღებენ.		
11	მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო გამგეობა ან მერიაა.		
12	გამგებლად ან მერად შეიძლება აირჩიონ საქართველოს მოქალაქე 26 წლიდან.		
13	გამგებლები და მერები ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.		

3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: ადგილის დაკავებაბ.....

ბ. აქ: კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობა.

1. კატეგორია
2. უფლებამოსილების განხორციელება
3. სამსახურიდან მოუწყვეტლად
4. უსასყიდლოდ
5. ანაზღაურებადი
6. შეუთავსებელი

ა. ხელფასის, ანაზღაურების გარეშე.

ბ. იურიდიული უფლების გამოყენება.

გ. რაიმე საერთო ნიშნით გაერთიანებული ჯგუფი.

დ. არის ის, რასაც ანაზღაურებენ, რაშიც იხდიან ხელფასს.

ე. ეწოდება ისეთს, რომელიც არათავსებადია, სხვა საგანთან ერთად ვერ არსებობს.

ვ. სამსახურთან ერთად; ისე, რომ სამსახურს არ მოსწყდეს.

3.4. უპასუხეთ კითხვას ვინ? და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

ნიმუში: ვინ არის ის, ვინც წიგნს კითხულობს?

.....**მკითხველი**.....

1. ვინ არის ის, ვინც აშენებს?

.....

2. ვინ არის ის, ვინც რაიმეს აკეთებს ან გააკეთებს?

.....

3. ვინ არის ის, ვინც ამოირჩევს?

.....

4. ვინ არის ის, ვინც ყიდის ან გაყიდის?

.....

5. ვინ არის ის, ვინც რაიმეს შეასრულებს?

.....

6. ვინ არის ის, ვინც პასუხს აგებს?

.....

7. ვინ არის ის, ვინც სხვას რჩევას აძლევს?

.....

8. ვინ არის ის, ვინც რაიმეს ყიდულობს?

.....

3.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა ან წყვილი!

ნიმუში: ... გაზეთის მყიდველმა... თავის ჩანთაში პლასტიკური ბარათი ველარ იპოვა. [გაზეთის მყიდველი]

1. გუშინ ოფიციალური სხდომა დანიშნა. [ჩვენი გამგებელი]

2. ამ მაღალსართულიანი სახლის გადაეცით, რომ ჩვენს ეზოს არ დავანგრევინებთ! [მშენებელი]

3. არ იცი, რომ მე მაგის აუცილებლად დავსჯი?! [გამკეთებელი]

4. თქვენი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და მე შედეგს ვერ შევცვლი. [უბნის ამომრჩეველი]

5. 4 კილოგრამი პომიდორი ამიწონა და კინაღამ თანხის გამორთმევა დაავიწყდა. [პროდუქტის გამყიდველი]

6. ამ რომ არ გამოგადგებით, ვერ ხვდებით?! [საქმის შემსრულებელი]

7. გირჩევთ, მიმართოთ, მე ამ განცხადებაზე ხელის მოწერის უფლება არ მაქვს. [პასუხისმგებელი პირი]

8. შესავალ სიტყვაში საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე გაამახვილა ყურადღება. [პრეზიდენტის მრჩეველი]

9. დიდხანს ისაუბრა ევროკომისიის იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც ქვეყნის მომავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. [გამომსვლელი]

10. ყველა ფუნქციას დროებით ჩემი გადავაბარებ, მე მივლინებაში მივდივარ. [მოვალეობის შემსრულებელი]

3.6. გაასწორეთ შეცდომები!

ნიმუში: ევროკომისიას თქვენს მიმართ ორი რეკომენდაცია აქვს.

.....თქვენ მიმართ

1. ვფიქრობ, რომ გამგებლის პოზიცია თქვენს მიმართ სრულიად სამართლიანია.

.....

2. არ ვიცი, რას ვგრძნობდი შენს მიმართ.

.....

3. ხელმძღვანელობამ თქვენს მიმართ ადმინისტრაციული ზომის გატარება გადაწყვიტა.

.....

4. ორგანიზაციის დირექტორს ჩვენს მიმართ კითხვები არ აქვს.

.....

5. ჩემს მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს არ ვეთანხმები .

.....

3.7. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ...ჩვენი საკრებულოს მუშაობის მიმართ უკმაყოფილება ნელ-ნელა იზრდება... [მუშაობის მიმართ]

1.

[ჩვენ მიმართ]

2.

[მათ მიმართ]

3.

[საქართველოს მიმართ]

4.

[მინისტრის მიმართ]

5.

[დამნაშავეს მიმართ]

3.8. დააკვირდით შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

ენა დაება — ენა აუბორძიკდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ალაპარაკდა.

ენა დაიმოკლა — ნაკლები, ცოტა ილაპარაკა; ან: სულ გაჩუმდა.

ენას კბილი დააჭირა — ხმა აღარ ამოიღო, ხმა გაკმინდა.

ენა მუსცელში ჩაუვარდა — ხმა ვეღარ ამოიღო [შიშის ან სხვა განცდის გამო].

ნიმუში: მომხსენებელს ენა დაება, როცა დაინახა, რომ დარბაზში პოლიციელები შემოვიდნენ.

1.

[ენა დაიმოკლე]

2.

[ენა დამება]

3.

[ენას კილი დააჭირა]

3.

[ენა მუცელში ჩაუვარდა]

3.9. წაიკითხეთ ტექსტი და გამოთოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

იმ დღეს აფხაზეთის ზღვა უჩვეულოდ ღელავდა და მღვრიე ტალღებს ნაპირს ახეთქებდა. ადრეული შემოდგომის სიჭრელე ნაცრისფერ ნისლში გახვეულიყო. ქართველი მეომრები მოწვეტილ მიწა-წყალს უხმოდ ტოვებდნენ, თავები ძირს დაეხარათ და ოდესღაც მარჯვე მკლავები ღონეგამოცლილი დაჰკიდებოდნენ. ბაბუშერას აერობორტში ერთი ვეტმფრენი იდგა დარჩენილი ბიჭების გამოსაყვანად. მეთაური ჩქარობდა, ბრძანებას ასრულებდა და მეომრებს ვეტმფრენში ჩასხდომას აიძულებდა. მათი სიცოცხლე წუთებზე იყო დამოკიდებული.

— მე ვრჩები, ვეღარ... ვეღარ წამოვალ, — მეთაურს და თანამებრძოლებს უკანასკნელი მზერით გადახედა.

— იე, აერობორტის შესასვლელში, დედა დგას მცირეწლოვანი ბავშვით. ჩემ ნაცვლად ისინი უნდა წაიყვანოთ! — ძალა მოიკრიბა მან და მსუბუქი ნაბიჯით შეტრიალდა. სიჩუმე ჩამოწვა, ყველას , შეპასუხება ვერავინ შეძლო. როცა ვეტმფრენი ზემოთ აიწია, ზღვის ნაპირთან ავტომატის ჯერით დაცხრილული თეთრი თოლია გამოჩნდა.

უჩვეულოდ — არაბუნებრივად, უცნაურად.

მღვრიე — უსუფთაო, ჭუჭყიანი.

ნისლი — ბურუსი; ჰაერში დამდგარი ორთქლი, რომელსაც მონაცრისფრო ფერი აქვს.

ჯერი — რიგი, მწკრივი.

ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ის ეწოდება საერთო-სახალხო გამოკითხვას, რომელიც ქვეყანაში ფარული კენჭისყრით ტარდება.
2. -----	ყველაზე ზედა საფეხურზე მდგომი.
3. -----	თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შეიძლება ჰყავდეს სოფელს, თემს და სხვ.
4. -----	ქალაქის აღმასრულებელი ორგანო.
5. -----	უმაღლესი თანამდებობის პირი გუბერნიაში.

2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	1990 წელს ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე საქართველო გამოვიდა საჭოთა კავშირიდან.		✓
1	1995 წელს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო.		
2	კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია.		
3	სახელმწიფოს დასახელებას არ განსაზღვრავს კონსტიტუცია.		
4	კონსტიტუცია იცავს ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს.		
5	პარლამენტი და საკრებულო წარმომადგენლობითი ორგანოებია.		
6	პარლამენტს მთავრობის არჩევის უფლება არა აქვს.		
7	საკრებულოს კანონების მიღების უფლება არა აქვს.		
8	საკრებულო აკონტროლებს მერიისა და გამგეობის მუშაობას.		
9	პარლამენტის წევრს სახელმწიფო ანაზღაურებას არ უხდის.		

10	პარლამენტსა და საკრებულოში მხოლოდ კომიტეტები იქმნება.		
11	საქართველოს მთავრობა, მუნიციპალური გამგეობა და მერია აღმასრულებელი ორგანოებია.		
12	მთავრობა პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან შედგება.		
13	მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანო არის მერია.		
14	გუბერნატორი აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს.		
15	გუბერნატორს თანამდებობაზე ნიშნავს ან ათავისუფლებს ქვეყნის პრეზიდენტი.		

3. დაუსვით კითხვა და გამოყავით, რა აქვს საერთო ჩამოთვლილ სიტყვებს!

ნიმუში: დამოუკიდებლობა, აქტიურობა, პასიურობა.

პასუხი:რა?ობა.....

1. წესიერება, ძლიერება, გონიერება.

პასუხი:

2. სამოქალაქო, სამინისტრო, სამთავრობო.

პასუხი:

3. ოპოზიციური, რელიგიური, იდეოლოგიური.

პასუხი:

4. დემოკრატიული, დისკრიმინაციული, ადმინისტრაციული.

პასუხი:

5. მოძალადე, მოწინააღმდეგე, მოხელე.

პასუხი:

6. სამართლიანი, უნარიანი, აზრიანი.

პასუხი:

7. უმიზეზო, უვადო, უწესო.

პასუხი:

8. შეხედულებისამებრ, დაპირებისამებრ, წესისამებრ.

პასუხი:

9. მრჩეველი, მსმენელი, მყიდველი.

პასუხი:

4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: ქვეყნისდამოუკიდებლობის..... დასაცავად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. [დამოუკიდებლობა]

1. საგარეო საქმეთა სამინისტროს ასეთმა პრემიერ-მინისტრის მოწონება დაიმსახურა. [აქტიურობა]
2. გამო ბ-ნი გიორგი სამსახურში დააწინაურეს. [პატიოსნება]
3. ადამიანმა თავისი უნდა მიაღწიოს წარმატებებს. [გონიერება]
4. პარტიებს ევროკავშირის კომისართან სურთ შეხვედრა. [ოპოზიციური]
5. მმართველობა მთელი მსოფლიოსათვის არის სასარგებლო. [დემოკრატიული]
6. სახელმწიფო უპირველესად საკუთარ თავს უნდა მოსთხოვოს კანონის დაცვა. [მოხელე]
7. ამ გადაწყვეტილებას მე ვერ შევცვლი. [სამართლიანი]
8. იმედი მაქვს, რომ ჩვენს რაიონში რეფორმებს მალე გაატარებენ. [ადმინისტრაციული]
9. დამოკიდებულებამ მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი კონფლიქტის მოგვარებას. [დისკრიმინაციული]
10. პრემიერის სატელევიზიო ეთერით საინტერესო განცხადება გააკეთა. [მრჩეველი]

5. –ებ’იანი მრავლობითის ფორმები შეცვალეთ –თან’იანით!

ნიმუში: პარლამენტარების რჩევით რიგგარეშე სხდომა ორი დღე გადაიდება.

....პარლამენტართა რჩევით რიგგარეშე სხდომა ორი დღე გადაიდება.

1. მინისტრების ანგარიშებს პარლამენტარები ხვალიდან მოისმენენ.

.....

2. გამგებლების რჩევით მოსახლეობამ მოსავლის აღება მალე უნდა დაიწყოს.

.....

3. ჩვენი რაიონის დეპუტატების გადაწყვეტილებამ ხალხი კმაყოფილი დატოვა.

.....

4. მოქალაქეების აზრის გათვალისწინება ხელისუფლების ვალდებულებაა.

.....

5. დემოკრატია ადამიანის უფლებების დაცვას გულისხმობს.

.....

6. სახელმწიფო მოხელეების გულგრილობამ ცუდ შედეგამდე მიგვიყვანა.

.....

7. ამ ოქმში თანამშრომლების აზრი აუცილებლად დააფიქსირეთ.

.....

8. გადაწყვეტილების მისაღებად საკრებულოს წევრების ხმები აუცილებელია.

.....

9. მაღალი თანამდებობის პირების უფლება-მოვალეობანი კონსტიტუციითაა განსაზღვრული.

.....

6. უპასუხეთ კითხვებს მოცემული სიტყვების მიხედვით!

ნიმუში: რამდენ ხანს აპირებთ საქართველოში სტუმრობას?

.... ერთ თვეს [ერთი თვე]

1. რამდენი ხანია, რაც იურიდიული საქმიანობა დაიწყეთ?

..... [ხუთი წელი]

2. რამდენ ხანს გრძელდება საკრებულოს სხდომა?

..... [ორი საათი]

3. როდინდელ ისტორიას მიყვებით?

..... [შარშანდელი]

4. ეს განცხადება რამდენი ხნის წინ დაწერეთ?

..... [ერთი დღე]

5. რამდენი ხანია, რაც ქალაქის მერს ელოდებით?

..... [ნახევარი საათი]

5. როდინდელმა ამბავმა გაგაოცათ?

..... [გუშინდელი]

7. როგორ ფიქრობთ, **როდინდელ არჩევნებზე** მელაპარაკებიან?

..... [შარშანწინდელი]

8. ერთი მითხარით, **რამდენი ხანია**, რაც სამსახურში მოხვედით?

..... [ოცი წუთი]

7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები; უპასუხეთ კითხვას: რას შვრებოდეს?

ნიმუში: ხელისუფლება საკუთარ ავტორიტეტს ხალხში ადვილად არ უნდა**კარგავდეს**..... . [კარგავს]

1. ანტიდისკრიმინაციულ კანონს პარლამენტი უნდა [აუქმებს]

2. ბ-ნი გოგი ჩვენი ნათესაური კავშირით არ უნდა [სარგებლობს]

3. სამართლებრივ დოკუმენტებს იურისტი უნდა [ქმნის]

4. არცერთი კანონი არ უნდა საქართველოს კონსტიტუციას. [ეწინააღმდეგება]

5. მოქალაქეობრივი ვალდებულებების შესრულებას ჩვენივე პასუხისმგებლობა უნდა
..... . [განსაზღვრავს]

6. ყველა ორგანიზაცია უნდა თანამშრომელთა მოქცევის ნორმებს. [აწესებს]

7. ადამიანის უფლებებს აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა [იცავს]

8. ასეთ უსამართლო გადაწყვეტილებებს ხელმძღვანელი არ უნდა [იღებს]

8. დაუსვით კითხვები წინადადებებში მოცემულ ზმნებს!

ნიმუში: პარლამენტში შემოსულ კანონპროექტს მესამე მოსმენით **იღებენ**.

.....**რას შვრებიან?**.....

1. საქართველოს მოქალაქე ვარ, ამიტომ ჯერ ქართული უნდა **ვისწავლო**.

.....

2. საკრებულოს თანამშრომლები თავიანთი უფლებების დაცვას **მოითხოვდნენ**.

.....

3. საქართველოს პოლიცია ქვეყანაში კრიმინოგენურ სიტუაციას **აკონტროლებს**.

.....

4. სპორტის დეპარტამენტს მე ვუხელმძღვანელებ.

.....

5. ეს კაცი პარლამენტის შენობაში მე არ შემეყვანია.

.....

6. თვითმმართველობების შესახებ კანონი მერიასა და გამგეობას ამ ფუნქციასაც უნდა აკისრებდეს.

.....

7. გამგეობის სხდომა თავმჯდომარის მოადგილემ გააგრძელა.

.....

8. ეს პერსონალური კომპიუტერი ჯერ არავის გამოუყენებია.

.....

9. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები!

ნიმუში: გივი სამხარაძე ბოლო 5 წელია, რაც საქართველოშიცხოვრობს..... [ცხოვრება; რას შვრება?]

1. არასამთავრობო ორგანიზაციამ თბილისის მოსახლეობა და საინტერესო შედეგი მიიღო. [გამოკითხვა; რა ქნა?]

2. მათ დეპუტატობის ორი კანდიდატიდან ერთი უნდა [ამორჩევა; რა ქნა?]

3. ეს ყმაწვილი ორი თვის წინ თანამდებობიდან და რა პრეტენზია აქვს?! [მოხსნა; რა ვქენი?]

4. საქართველოს პრეზიდენტმა მთელი პასუხისმგებლობა პოლიტიკურ პარტიებს [დაკისრება; რა ქნა?]

5. ამ კანონს მე ვერ, ეს პრეზიდენტის ფუნქციაა. [გამოქვეყნება; რას ვიზამ?]

6. უახლოეს ხანში საქართველოს პარლამენტი კონსტიტუციურ ცვლილებებს [განხილვა; რას იზამს?]

7. დეპუტატები მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, როცა პარლამენტის თავმჯდომარემ სხდომა შეწყვიტა. [მიღება; რას შვრებოდნენ?]

8. ვფიქრობ, ქალაქქუთაისისშენ.....დამერობის კანდიდატი გახდეს. [ხელმძღვანელობა; რა უნდა ქნა?]

10. ა) უპასუხეთ კითხვას: რა უქნია?

ნიმუში: აცხადებს — ... გამოუცხადებია...

- | | | | | | |
|----------------|---|-------|------------------|---|-------|
| 1. შეასრულებს | — | | 6. მიიღებს | — | |
| 2. იმსჯელებს | — | | 7. გააკონტროლებს | — | |
| 3. შეიწყალებს | — | | 8. მისცემს | — | |
| 4. დააკისრებს | — | | 9. იცხოვრებს | — | |
| 5. დაუმტკიცებს | — | | 10. ისარგებლებს | — | |

ბ) ააგეთ წინადადებები ზმნებით: უცხოვრია, მოუხსნია, შეუსრულებია, აურჩევია!

1.
2.
3.
4.

11. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები:

ა) ის, რომელიც // ის....., რომლებიც.....

ბ) თუ....., მაშინ // მაშინ, თუ.....

გ) ისე, როგორც..... // როგორც, ისე.....

ნიმუში: ...**თუ**... ქვეყანაში საპარლამენტო მმართველობაა, ...**მაშინ**... პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს.

1. წარმართა საქმე, ჩვენ გვსურდა.
2. ქვეყანას აღმასრულებელი ხელისუფლება სუსტი ჰყავს, კანონი ვერ კანონობს.
3. შეიძლება შეიცვალოს ვითარება, თქვენ ამ საბუთს ხელს მოაწერთ.
4. კანონის მუხლები, თამბაქოს მოწევის აკრძალვას ეხება, დასარეგულირებელია.

5. ჩვენი ხელმძღვანელობა ამბობს, უნდა შევადგინოთ გრძელვადიანი გეგმა.
6. შემეშინდა, კურდღლს.
7. დაისაკუთრა ჩემი სახლ-კარი, ამას სრულიად უცხო ადამიანი იზამდა.
8. მოქალაქე, წესრიგი დაარღვია, საპატრულო პოლიციამ გააჩერა.
9. არჩევნებს ვინმე გააყალბებს, მეორე ტური დაინიშნება.
10. არადემოკრატიულია კანონები, ადამიანის უფლებებს არღვევს.

ანტონიმები

ადამიანის უფლებებს **იცავს** — ადამიანის უფლებებს **არღვევს**

12. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მითითებული სიტყვები: წინააღმდეგ, გარდა, გამო, ნაცვლად, შესახებ, მიმართ!

ნიმუში: თქვენ ...გამო..... ამ სამსახურის დატოვება მომიწევს.

1. შენ ბევრი არაფერი ვიცით, ამიტომ რაღაც მაინც გვიაბზე.
2. თქვენი გაცდენის მეც მომიწევს პასუხისგება.
3. დღევანდელი ჩვენი საკრებულოს სხდომის ყველას შეატყობინეთ.
4. თქვენი ფირმის საჩივარია შემოსული.
5. საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამსახურების ბევრი რამ დაწერილა.
6. დღეს ჩემ ბ-ნი გიორგი გამოვა მოხსენებით.
7. საქართველოს კონსტიტუციის ქვეყნის ნამდვილმა მოქალაქემ ბევრი რამ უნდა იცოდეს.
8. ვფიქრობ, ჩემ სხვასაც აქვს ასეთი შეხედულება, ამიტომ გამოვიტოვებ ჩაატარეთ.

13. შესიტყვებები შეცვალეთ სინონიმებით!

ნიმუში: პრეზიდენტმა საქმეს **ხელი მოჰკიდა**.

ნიშნავს:პრეზიდენტმა საქმე დაიწყო.....

1. თამაზმა თავის მეგობარს **ხელი შეუწყო**.

ნიშნავს:

2. მან დოკუმენტაცია **ხელში ჩაიგდო**.

ნიშნავს:

3. დათომ დამნაშავეს **ხელი დაადო**.

ნიშნავს:

4. დედამ თავის შვილს **ხელი დააფარა**.

ნიშნავს:

5. გაოცებულმა ახალგაზრდამ **ენას კბილი დააჭირა**.

ნიშნავს:

6. დირექტორის შიშით გიორგის **ენა მუელში ჩაუვარდა**.

ნიშნავს:

თავი V

დემოკრატია

ნაწილი 1

დემოკრატია. მოქალაქის როლი ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაში

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ის სრულ დამოუკიდებლობას ნიშნავს.
2. -----	იგივეა, რაც ნაწილობრივ დამოუკიდებლობა.
3. -----	იგივეა, რაც ხელშეუხებლობა.
სამოქალაქო უფლებები	4. -----
სოციალური უფლებები	5. -----

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა.	✓	
1	დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპის მიხედვით, ძალაუფლების წყარო თვით ხალხია.		
2	დემოკრატიის შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების მთავარი ორგანოები არ არის არჩევითი.		
3	უფლებათა თანასწორობის პრინციპი დემოკრატიის ერთ-ერთი საფუძველია.		
4	დემოკრატიის შემთხვევაში უმრავლესობას ემორჩილება უმცირესობა.		
5	დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ხელშეუვალია.		
6	პოლიტიკური პლურალიზმის დაცვა დემოკრატიის შემთხვევაში უცილებელი არ არის.		

7	პლებისციტი, რეფერენდუმი და სხვ. პირდაპირი დემოკრატიის ფორმები.		
8	პლებისციტი, როგორც წესი, რეგიონალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს ეხება.		
9	რეფერენდუმით მოქალაქეები სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტენ.		
10	როცა ხალხი პარლამენტს ირჩევს, საქმე წარმომადგენლობით დემოკრატიასთან გვაქვს.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: ძალაუფლებაგ.....

გ. აქ: იურიდიული ძალის ქონა.

1. ძირითადი
2. წყარო
3. თანასწორობა
4. საჯაროობა
5. პირდაპირი
6. მინიჭება

ა. თანაბარი უფლების ქონა.

ბ. იგივეა, რაც მთავარი.

გ. იგივეა, რაც საყოველთაოობა, დაუფარაობა.

დ. ეწოდება უშუალოდ დაკავშირებულს.

ე. მიცემა, ბოძება.

ვ. აქ: ჰქვია იმას, საიდანაც რაიმე გამომდინარეობს, მისი საფუძველია.

1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	როგორი? [დადებითი ფორმა]	როგორი? [უარყოფითი ფორმა]
	დემოკრატიული	არადემოკრატიული
1	პირდაპირი	

2	სუვერენული	
3	საკანონმდებლო	
4	კანონიერი	
5	ადამიანური	
6	ემოციური	
7	რელიგიური	
8	კოლეგიალური	
9	პრაქტიკული	
10	ქართული	
11	სავალდებულო	
12	სამთავრობო	
13	საპარლამენტო	
14	კონსტიტუციური	
15	პოპულარული	

1.5. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ეს პოლიტიკოსიარაპოპულარულ განცხადებებს... ხშირად აკეთებს. [არაპოპულარული განცხადებები]

1. ჩატარებული არჩევნები ნაკლებ ლეგიტიმურია.
[არაპირდაპირი გზა]
2. ყველა სუვერენიტეტის მოსაპოვებლად იბრძვის. [არასუვერენული სახელმწიფო]
3. საპარლამენტო სხდომაზე თავისი აზრი დააფიქსირა.
[არასაპარლამენტო უმცირესობა]
4. ჩვენს რამდენიმე საყურადღებო შენიშვნა ჰქონდა. [არასამთავრობო ორგანიზაცია]
5. იცოდეთ, რომ ვერასდროს გავამართლებ. [არაკოლეგიალური ურთიერთობა]

6. შესაძლებელია მოქალაქეთა პროტესტი გამოიწვიოს.
[არათანასწორი დამოკიდებულება]
7. მაგალითი არ გამოგადგებათ. [არადემოკრატიული ქვეყნები]
8. მათ არც კი ვუბასუხებ. [არაკანონიერი მოთხოვნა]
9. დემოკრატიულ ქვეყნებში მკაცრად სჯიან. [არაადამიანური მოპყრობა]
10. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, ის ხომ ჩვენი ქვეყნის ღირსეული ნაწილია. [არაქართული მოსახლეობა]

1.6. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები დააწყვილეთ ანტონიმებად!

სიკეთე, ბნელი, ნაკლები, ცა, მკვდარი, ახალი, თეთრი, ცარიელი, დედამიწა, ზღვა, მაგარი, ბოროტება, ხმელეთი, შავი, სავსე, ნათელი, ცოცხალი, ძველი, რბილი, მეტი.

ნიმუში: სიმართლე — სიცრუე

- | | |
|---------|----------|
| 1. | 6. |
| 2. | 7. |
| 3. | 8. |
| 4. | 9. |
| 5. | 10. |

1.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: მოქალაქეებიიმ უფლებებს გამოიყენებენ, რომლებიც კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული.
[ის უფლება]

1. გამო ბევრი პრობლემა შემექმნა. [ეს გადაწყვეტილება]
2. თუ არ შეასრულებთ, მე ველარ დაგეხმარებით. [ეგ ვალდებულება]
3. განხილვა ჯერ ფრაქციის სხდომაზე შედგება. [ეს კანონპროექტი]
4. ვიცი, რომ პასუხს აუცილებლად მოვთხოვ. [ის ხელისუფლება]
5. ვფიქრობ, რომ თავმჯდომარის კანდიდატურად ბატონ თამაზს წარადგენენ. [ეგ საკრებულო]
6. გუშინ მეც ვუყარე კენჭი. [ის ინიციატივა]

7. გადაეცა, რომ ხვალ დილის 9 საათზე სამსახურში იყოს. [ეგ თანამშრომელი]
8. ძალიან დავინტერესდი, ამიტომ საკრებულოს სხდომაზე გავიტანოთ განსახილველად. [ეს საკითხი]
9. წინასწარ ვიცი, რომ სამინისტროში არ მოიწონებენ. [ეგ გადაწყვეტილება]
10. საერთოდ არ ვიცნობ, პირველად ვხედავ. [ეს პიროვნება]

1.8. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: *სხვაგან, ყველგან, ზოგან, ერთგან, ბევრგან!*

ნიმუში: ჯერ ერთგან ვაპირებ წასვლას, ამიტომ ცოტა დამაგვიანდება.

1.
2.
3.
4.
5.

1.9. გამოთვებულ ადგილას ჩასვით *-ზე, -ში, -თვის, -კენ და -დან* თანდებულები!

დილის 9 საათი იყო, როცა ირაკლიმ ტან..... ჩაიცვა, ისაუბრა და წასასვლელად გაემზადა. ის საპარლამენტო არჩევნებ..... მონაწილეობას პირველად იღებდა, ამიტომ თავისი სამოქალაქო ვალდებულების შესასრულებლად სახლი.... სწრაფად გამოვიდა, კიბე..... ჩაირბინა და საარჩევნო უბნისა..... გაემართა.

— საუბნო სია დაფაზე გამოკრული, თქვენი გვარი და სახელი ჯერ იქ უნდა მოქცეხნოთ, ისე ვერ შეგიშვებთ, — უთხრა სპეციალურ ფორმა.... გამოწყობილმა ახალგაზრდამ და წინ გადაეღობა. ირაკლიმ ჯიბი.... პატარა ქალაქი ამოიღო და უცნობს გაუწოდა, ზედ საარჩევნო უბნის ნომერი იყო მითითებული.

— რეგისტრაციის..... პირადობის მოწმობაც დაგჭირდებათ, — არ ისვენებდა ახალგაზრდა, რომელიც, როგორც ჩანს, დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა თავის მოვალეობას და მეტისმეტად ღელავდა. ცოტა ხანში ირაკლი საარჩევნო ბიულეტენით ხელში უკვე სპეციალურ კაბინა.... იდგა და სასურველ კანდიდატს ხაზავდა.

1.10. წინა სავარჯიშოში მოცემული ტექსტიდან ამოწერეთ ზმნები, რომლებიც უპასუხებენ კითხვას: *რას შვრებოდა?*

პასუხი:

ნაწილი 2**აქტიური მოქალაქე – ქვეყნის დემოკრატიის გარანტი****2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ის ტანჯვას, სასტიკ მოქცევას ნიშნავს.
2. -----	არის ის, რისიც სწამთ; იგივეა, რაც რწმენა.
3. -----	მოქალაქეთა საჯარო გამოსვლა სოლიდარობის ან პროტესტის ნიშნად.
რესურსი	1. -----
რაციონალური	2. -----

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ –ით!

N		სწორი	არასწორი
	მოქალაქე არის ის პირი, რომლის უფლებებსაც სახელმწიფო იცავს.	✓	
1	მოქალაქე, რომელიც იცავს თავის უფლებებს და ასრულებს მოვალეობებს, აქტიური მოქალაქეა.		
2	თუ მოქალაქე არ არის აქტიური, ის აფერხებს დემოკრატიის განვითარებას.		
3	აქტიური მოქალაქე მხოლოდ საკუთარ უფლებებს იცავს.		
4	მოქალაქეს მხოლოდ პოლიტიკური უფლებები აქვს.		
5	სიტყვის თავისუფლების დაცვა არ არის აქტიური მოქალაქის სამოქალაქო ვალდებულება.		
6	რელიგიური მრწამსისა და სინდისის თავისუფლების დაცვა ყველა აქტიური მოქალაქის ვალდებულებაა.		
7	შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების დაცვა სამოქალაქო ვალდებულება არ არის.		
8	მოქალაქეს სახელმწიფოს წინაშე სამოქალაქო ვალდებულებები საერთოდ არა აქვს.		
9	სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესრულება მოქალაქის ერთ-ერთი ის ვალდებულებაა, რომელიც მას სახელმწიფოს წინაშე აქვს.		
10	აქტიური მოქალაქე მოვალეობების შესრულებით განსხვავდება ჩვეულებრივი ადამიანისაგან.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1–5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ე]:

ნიმუში: გადაადგილებაბ.....

ბ. იგივეა, რაც ადგილის შეცვლა.

1. სინდისი
2. შესრულება
3. ჩართული
4. შეფერხება
5. სოციალური
6. გადასახადი

ა. აქ: ჰქვია იმას, რასაც ვალდებულების სახით ვიხდით, მაგ., ელექტროენერგიის საფასურს.

ბ. იგივეა, რაც საზოგადოებრივი, ანუ ადამიანთა ცხოვრებისთვის დამახასიათებელი.

გ. რომელიმე მოქმედების დაბრკოლება, ხელის შეშლა.

დ. აქ: ეწოდება რაიმე პროცესის მონაწილეს.

ე. შინაგანი ხმა, რომელიც ადამიანს საკუთარ საქციელში კარგსა და ცუდს განარჩევინებს.

ვ. ნიშნავს რაიმეს გაკეთებას, მის დამთავრებას, დასრულებას.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და გამოიყენეთ –ოვან დაბოლოება!

ნიმუში: რა არის ის, რასაც მნიშვნელობა აქვს და ღირებულია?

.... მნიშვნელოვანი....

1. რა არის ის, რასაც სურნელი, ანუ კარგი სუნი, აქვს?

.....

2. რა არის ის, რასაც ორი მნიშვნელობა, ორი აზრი შეიძლება ჰქონდეს?

.....

3. რა არის ის, რასაც სრული ფასი აქვს, სრულყოფილია?

.....

4. რა არის ის, რასაც ძალა აქვს?

.....

5. ვინ არის ის, ვისაც კარგი სახელი აქვს, სახელგანთქმულია?

.....

6. რა არის ის, რასაც ნაკლი აქვს?

.....

7. რა არის ის, რასაც მრავალი ფერი აქვს, ანუ მრავალნაირია?

.....

8. ვინ იყო ის, ვისაც დიდი გვარი ჰქონდა, პრივილეგიებული იყო?

.....

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ჩვენი ქვეყნისმრავალსაუკუნოვან ისტორიას... არაერთი მტერი უნახავს. [მრავალსაუკუნოვანი ისტორია]

1. მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. [სრულწლოვანი მოქალაქე]

2. ერთ ტრანსპორტში ადგილი დავუთმე. [ასაკოვანი კაცი]

3. ჩვენს რეგიონში გამოცემამ ინფორმაციის გავრცელებას ხელი შეუწყო.
[ორენოვანი ჟურნალი]

4. ვფიქრობ, რომ ჩვენი ტელეგადაცემის ეს ფაქტი არ აღელვებს.
[მრავალრიცხოვანი მაყურებელი]

5. კავკასია გამორჩეული რეგიონია. [მრავალფეროვანი ბუნება]

6. სწრაფად მიიღეს გადაწყვეტილება და მანიფესტანტებს
ცენტრალური ქუჩის გადაკეტვის უფლება არ მისცეს. [ძალოვანი სტრუქტურები]

7. თქვენი მუშაობის შემაჯამებელ მოხსენებაში ავსახავთ. [ნაკლოვანი მხარეები]

8. ამ პრემიერ-მინისტრიც დაინტერესდა. [მნიშვნელოვანი პრობლემა]

9. კანონში ნუ ჩაწერთ, სამართლებრივ პრობლემებს შექმნის.
[ორაზროვანი ფრაზები]

10. მიღებით საკუთარ წინსვლას შეუწყობთ ხელს. [სრულფასოვანი განათლება]

2.6. პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: დაუნიშნავს, წარმოუთქვამს!**ნიმუში:**

აბლანდელი		წარსული	
მე ვმალავ	ჩვენ ვმალავთ	მე დამიმალავს	ჩვენ დავგიმალავს
შენ მალავ	თქვენ მალავთ	შენ დავგიმალავს	თქვენ დავგიმალავთ
ის მალავს	ისინი მალავენ	მას დაუმალავს	მათ დაუმალავთ
აბლანდელი		წარსული	
მე ვნიშნავ	ჩვენ	მე დამინიშნავს	ჩვენ
შენ	თქვენ	შენ	თქვენ
ის	ისინი	მას	მათ

ნიმუში:

აბლანდელი		წარსული	
მე ვიცვამ	ჩვენ ვიცვამთ	მე ჩამიცვამს	ჩვენ ჩავგიცვამს
შენ იცვამ	თქვენ იცვამთ	შენ ჩავგიცვამს	თქვენ ჩავგიცვამთ
ის იცვამს	ისინი იცვამენ	მას ჩაუცვამს	მათ ჩაუცვამთ
აბლანდელი		წარსული	
მე წარმოვთქვამ	ჩვენ	მე წარმომითქვამს	ჩვენ
შენ	თქვენ	შენ	თქვენ
ის	ისინი	მას	მათ

2.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: განუსაზღვრავთ, გაუმართავთ, მოუპარავთ, დავიცავს, გამოუთქვამს, შემინიშნავს, შეუზღუდავს!

1. ბევრჯერ, რომ ჩემი თანამშრომელი ტყუილს ამბობდა.
2. გავიგე, რომ შენი პოზიცია კარგად
3. ჩვენი ოფისიდან მნიშვნელოვანი დოკუმენტები, ამიტომ პოლიციაში დავრეკე.
4. აქ ჩემი უფლებები ჯერ არავის, ამიტომ სამსახურის გამოცვლა არც მიფიქრია.

5. საერთო წესები საკრებულოს სხდომაზე და თავმჯდომარისათვის ხელმოსაწერად გადაუციათ.
6. ევროპარლამენტარებთან შეხვედრისას ბ-ნ ნიკოს თავისი აზრი ინგლისურ ენაზე
7. სტუდენტებს თავიანთი უფლებების დასაცავად მანიფესტაცია

2.8. ააგეთ წინადადებები ფრაზით: *სხვათა შორის!*

ნიმუში: სხვათა შორის, ჩემს სამოქალაქო ვალდებულებებზე უარის თქმას არ ვაპირებ.

1.
2.
3.

2.9. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები მოცემული წყვილებით!

1. პატივი თუ არ ვეცით, ასე არაფერი გამოგვივა. [ერთმანეთის შეხედულებები]
2. ნუთუ აქამდე არაფერი იცოდით. [ერთიმეორის შესახებ]
3. მე და თიკო ერთ ოთახში ვცხოვრობდით და ვიზიარებდით. [ერთმანეთის გულისტკივილი]
4. ნუ ამართლებთ! [ერთმანეთის საქციელი]
5. ასეთი ლაპარაკი არ გიხდებათ. [ერთიმეორის წინააღმდეგ]
6. ნუ გამოიყენებთ, თორემ საზღვარზე დაგაკავებენ! [ერთმანეთის პასპორტები]

2.10. ააგეთ წინადადებები სიტყვებით: *ერთმანეთი და ერთიმეორე!*

ნიმუში: ადამიანები ერთმანეთით ვართ ძლიერნი, რადგან ძალა ერთობაშია!

1.
2.
3.

4.

5.

2.11. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვებით: ისეთი..., როგორიც.... ; ისეთი..., როგორებიც!

ნიმუში: ...ისეთი... შვილი, ...როგორიც... მას ჰყავს, ყველამ უნდა ინატროს.

1. სამსახური არ მინდა, შენ გაქვს, ძალიან დამღლეულია.

2. იშვიათია გამოცდილი ადამიანი, ბ-ნი თამაზია.

3. ვერ გავამართლებ პოზიციას, შენ გაქვს.

4. გამგებლები, ჩვენს რეგიონში დანიშნეს, ჯერ არ გვეყოლია.

5. არ არის ხშირი მაღალი ანაზღაურება, გიორგის კერძო კომპანიამ დაუნიშნა.

6. მოძველდა შეხედულებები, მათ აქვთ.

7. ეკოლოგიური პრობლემებს, თანამედროვე ეპოქაშია, მსოფლიომ ერთიანი ძალით უნდა მიხედოს.

8. ჯერ არ მინახავს მოწესრიგებული გზა, ჩემს სოფელში დააგეს.

9. საამაყო ქალაქის მერობა, თბილისია.

ნაწილი 3

პოლიტიკური კულტურის ტიპები

3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	იგივეა, რაც ძველი, ტრადიციული.
2. -----	იგივეა, რაც რაიმეს არქონა.
3. -----	პოლიტიკური შეხედულების, პოლიტიკური მიმართულების ქონა.
გემოქმედება	4. -----
ტოლერანტობა	5. -----

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	პოლიტიკური კულტურის მხოლოდ ერთი ტიპი არსებობს.		✓
1	პატრიარქალური კულტურის შემთხვევაში საზოგადოების წევრებს პოლიტიკური კულტურა არა აქვთ.		
2	პატრიარქალური კულტურა დამახასიათებელია განუვითარებელი საზოგადოებებისათვის.		
3	პოლიტიკური ორიენტაციის არქონა საზოგადოების განუვითარებლობაზე მიანიშნებს.		
4	პატრიარქალურ კულტურაში მთავარია კლანური, გვაროვნული და სხვა ამ ტიპის ინტერესები.		
5	მორჩილების კულტურის დროს ადამიანებს ნაწილობრივ აინტერესებთ პოლიტიკური ცხოვრება და ხელისუფლების საქმიანობა.		
6	მორჩილების კულტურა გამოირჩევა მოქალაქეთა აქტიურობით.		
7	მორჩილების კულტურის დროს მოქალაქეები თავად მონაწილეობენ პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობაში.		
8	მორჩილების კულტურის შემთხვევაში სახელმწიფო ქმნის კანონებსა და ბრძანებებს, რომლებსაც ხალხი უნდა დაემორჩილოს.		
9	აქტივისტური პოლიტიკური კულტურის დროს მოქალაქეები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.		
10	აქტივისტური პოლიტიკური კულტურის შემთხვევაში მოქალაქეებმა კარგად იციან თავიანთი უფლება-მოვალეობანი და იცავენ მათ.		
11	აქტივისტური პოლიტიკური კულტურის მთავარი ნიშნებია: ტოლერანტობა, პლურალიზმი და პოლიტიკისადმი შემოქმედებითი მიდგომა.		

3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ვ]:

ნიმუში: კლანიბ.....

ბ. საერთო მიზნით (მაგალითად, ფინანსური, პოლიტიკური და სხვ.) შეკრული ადამიანების ერთობა, რომელსაც ვიწრო ინტერესები აქვს.

1. ტიპი

2. ქვეშევრდომი

3. თანამონაწილე
4. ღირებულება
5. ნაწილობრივი
6. გამიჯვნა

- ა. ვინმესთან ერთად მონაწილე, მასთან ერთად მოქმედი.
- ბ. იგივეა, რაც სახე, სახეობა.
- გ. ეწოდება იმას, რასაც ფასი აქვს, მნიშვნელოვანია.
- დ. ჰქვია არამთლიანს.
- ე. იგივეა, რაც ხელქვეითი; ვინმეს დაქვემდებარებაში მყოფი.
- ვ. იგივეა, რაც ვინმესგან ან რაიმესგან გამოყოფა, გამოცალკევება.

3.4. უპასუხეთ კითხვას რა? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რას იზამს?	რა?
	დამორჩილება	დამორჩილება
1	გაკონტროლდება	
2	განხორციელდება	
3	განვითარდება	
4	დაეხმარება	
5	დაუკავშირდება	
6	დახასიათდება	
7	დაევალება	
8	შეაფასებს	
9	შეასრულებს	
10	გამოიყენებს	

3.5. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: ასეთმამორჩილებამ..... ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს.
[მორჩილება]

1. მინისტრების ფუნქცია პარლამენტს აქვს დაკისრებული. [გაკონტროლება]

2. ამ გეგმის შემდეგ ქართული სახელმწიფო მოგებული დარჩება.
[განხორციელება]
3. ქვეყნის მოქალაქეების სოციალურ მდგომარეობაზე უნდა იმოქმედოს.
[განვითარება]
4. ჩვენი ორგანიზაცია მხოლოდ ტრადიციული მეთოდების ვერ იმუშავებს.
[გამოყენება]
5. საქართველომ ევროკავშირის დღეს მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.
[დახმარება]
6. პრემიერ-მინისტრთან ჯერ ვერ შეძლებთ, ის პარლამენტის სხდომას ესწრება.
[დაკავშირება]
7. არ ინერვიულოთ, თქვენს კანცელარიაში გადავგზავნით. [დახასიათება]
8. ფინანსთა მინისტრის გამო სამსახურში გვიანობამდე მომიწევს დარჩენა.
[დავალება]
9. ობიექტური კმაყოფილი ვარ, ამიტომ სათქმელიც არაფერი დამრჩა. [შეფასება]

3.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ქალაქ ქუთაისის მერი ...*თქვენ პირდაპირ*... დასვით. [თქვენ პირდაპირ]

1.

[ჩვენ პირდაპირ]

2.

[მათ პირისპირ]

3.

[პირდაპირ ვუთხარი]

4.

[პირდაპირ გაიქცა]

5.

[შენობის პირდაპირ]

3.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: წინააღმდეგ, გამო, შესახებ!

ნიმუში: ამ ინფორმაციის ... შესახებ.... არაფერი გამიგია.

1. საკრებულოს არჩევნების ჩვენი ვიზიტი გადაიდო.
2. თქვენი მდგომარეობის გუბერნატორს ყველაფერი ვუთხარი.
3. ახალი ორგანიზაციის შექმნის დრო აღარ მრჩება.
4. კონსტიტუციის მოქმედება დაუშვებელია.
5. დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის პრობლემა შემექმნა.
6. მეზობლების მეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი.
7. პრეზიდენტის ბრძანებულების ოფიციალური წერილი ჯერ არ მოსულა.
8. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხალხის ამრის ვერ წავალთ.

3.8. დააკვირდით დაფაზე გამოტანილ შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

ხმა გაკმინდა — სულ გაჩუმდა, მისი ხმა შეწყდა.

ხმა მისცა — ვიღაც ან რაღაც აირჩია.

პირში წყალი დაიგუბა — გაჩუმდა, აღარაფერი თქვა.

სიტყვა პირზე შეაშრა — უეცრად ველარაფერი თქვა (რაიმე განცდის გამო, მაგ., შიშით, გაოცებით...)

ნიმუში: უცებ იარაღის სროლის ხმა გავიგონე და შიშისაგან ხმა გაკმინდე.

1.

[ხმა მისცა]

2.

[პირში წყალი დაიგუბა]

3.

[სიტყვა პირზე შეაშრა]

3.9. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოთოვეთ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

— გადაწყვეტილება დღესვე უნდა მივიღო, სხდომა სასწრაფოდ მოიწვიეთ! — ცხარობდა ბ-ნი გიორგი და მელნიან კალამს ხელში ათამაშებდა.

— რა ხდება ასეთი? — იკითხა ქ-ნმა ლიამ, რომელიც სამინისტროდან ახალი დაბრუნებული იყო და სამსახურში მომხდარი ამბისა არაფერი იცოდა.

— რა და ... შენს სანდროსა და თედოს კონფლიქტი მოსვლიათ. როგორც ჩანს, განყოფილების უფროსის თანამდებობა თედოსაც უნდა. ყველაფერი კენჭისყრით გადაწყდება.

ლიას , კოლეგას ველარაფერი უთხრა. სანდრო მისი გარდაცვლილი მეგობრის შვილი იყო, ამიტომ გულში რაღაც საშინელი ტკივილი იგრძნო და კაბინეტისაკენ უხმოდ წავიდა.

კრება საღამოს ხუთ საათზე დამთავრდა.

— სანდრომ გაიმარჯვა, ყველამ მას , — ქოთქოთებდა თინათ და ქ-ნ ლიას ფუმფულა ლოყებზე ჰკოცნიდა.

თავი VI

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

ნაწილი 1

სამართლებრივი უფლებები

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ადამიანის შინაგან ღირებულებათა ერთიანობა.
2. -----	აქ: იგივეა, რაც შევიწროება.
3. -----	იგივეა, რაც შეურაცხყოფას აყენებს.
თავისუფლების აღკვეთა	4. -----
შეზღუდვა	5. -----

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანი დაბადებიდანვე თავისუფალია.	✓	
1	საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე.		
2	ადამიანის სიცოცხლის უფლებას კანონი არ იცავს.		
3	პიროვნების ერთადერთი უფლება რწმენის თავისუფლებაა.		
4	დაუშვებელია ადამიანის დევნა რომელიმე უფლების გამო, თუ ის არ ლახავს სხვათა უფლებებს.		
5	თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.		
6	დაკავებული პირი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს არა უგვიანეს 48 საათისა.		
7	უდანაშაულობის პრეზუმფციის მიხედვით, ადამიანი დამნაშავე არ არის, ვიდრე მის ბრალს სასამართლო არ დაამტკიცებს.		

8	პირადი თავისუფლების შეზღუდვის დროს მოქალაქეს არ აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ დააკავეს.		
9	თუ პირი სასამართლოს მიერაა ბრალდებული, მაშინ მას ამ ბრალის შესახებ უნდა ეცნობოს.		
10	თუ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დამცველს მოითხოვს, ეს მოთხოვნა შეიძლება არ დაკმაყოფილდეს.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: პირადიდ.....

დ. იგივეა, რაც საკუთარი.

1. პრემიუმცია
2. ბრალდებული
3. დაკავებული
4. თავისუფლებაშეზღუდული
5. დაუყოვნებლივ

ა. აქ: ეწოდება დროებით დაპატიმრებულს.

ბ. ეწოდება იმ პირს, რომელსაც თვალყურს ადევნებენ.

გ. იგივეა, რაც მალევე, სწრაფად, შეყოვნების გარეშე.

დ. ვარაუდზე დამყარებული შეხედულება, სავარაუდო დასკვნა.

ე. პირი, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

1.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რას იზამს?	როგორი?
	შეზღუდავს	შეზღუდული
1	დაასაქმებს	
2	განათლებს	
3	დააოჯახებს	
4	დაიწყებს	

5	დაარეგულირებს	
6	დაიცავს	
7	გააფართოვებს	
8	შეამოწმებს	
9	გააფორმებს	
10	განსაზღვრავს	
11	დანიშნავს	
12	მიიღებს	
13	გაათავისუფლებს	
14	დაამტკიცებს	
15	დააკავებს	
16	დააბატიმრებს	
17	დააკმაყოფილებს	

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ჩვენს ორგანიზაციაშიდასაქმებულ პირს... თავისი ვალდებულებები აქვს. [დასაქმებული პირი]

1. ასეთი ნაბიჯი არ უნდა გადადგას. [განათლებული ადამიანი]
2. გართობისთვის ნაკლები დრო რჩება. [დაჯახებული მამაკაცი]
3. თქვენ მიერ ჩვენ გავაგრძელებთ. [დაწყებული საქმე]
4. კონსტიტუციით მიმართ შენიშვნები აღარ გვაქვს. [დარეგულირებული კანონები]
5. თქვენ მიერ ბრალი მაინც არ აღიარა. [დაბატიმრებული პირი]
6. სახელმწიფო სამსახურები ექვემდებარება. [განსაზღვრული წესები]
7. ამ დირექტორთან მიბრძანდით და საბოლოო გადაწყვეტილებას ის მიიღებს. [შემოწმებული საბუთი]

8. ერთხელ ამ ორგანიზაციაში უკან ველარ დავაბრუნებთ.
[გათავისუფლებული თანამშრომელი]
9. საბოლოოდ დაეყრდენით და ისე ვიმსჯელოთ. [დამტკიცებული ფაქტები]
10. გამო პროტესტის გამოხატვას ვაპირებთ. [შეზღუდული უფლებები]

1.6. ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები დააწყვილეთ სინონიმებად!

ჩქარა, გონება, ბაბუა, ბინძური, გარდაიცვალა, ღარიბი, ბრძანეთ, მეფე, მტყუანი, ეშმაკი, მალე, მოკვდა, მონარქი, უქონელი, პაპა, ცბიერი, თქვით, ჭკუა, ჭუჭყიანი, მატყუარა.

ნიმუში: მოხუცი — ხნერი.

- | | |
|---------|----------|
| 1. | 6. |
| 2. | 7. |
| 3. | 8. |
| 4. | 9. |
| 5. | 10. |

1.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ვერ გავიგე, რას ერჩით ... ამისთანა პატიოსან კაცს?! [ამისთანა პატიოსანი]

1. ადამიანს როგორ ენდობით? [ამნაირი უსაქმური]
2. უმცირესობების უფლებები დაირღვევა, ამიტომ მას ვერ მივიღებთ.
[ამგვარი კანონი]
3. მე სალამსაც არ ვეტყვდი. [მაგისთანა მეზობელი]
4. ჩვენს ორგანიზაციაში მალე შემოიღებენ, რომ გაცდენას ველარავინ
გაბედავს. [იმგვარი შეზღუდვები]
5. მეონე ინჟინერს უმუშევრად არ დავტოვებდი. [ამგვარი
გამოცდილება]
6. წარმატებებს აუცილებლად მიაღწევთ. [ამისთანა შრომა]
7. მიმართ კანონი ლიბერალური უნდა იყოს. [ამგვარი
ბრალდებულები]

8. თქვენ გამო მოხვედით ჩემთან, აუცილებლად დაგეხმარებით.
[იმისთანა საქმე]
9. გამო შეიძლება სასამართლოში საქმე წაგოთ. [ამგვარი დამცველი]
10. ბევრ ადამიანს გაახარებთ. [ამნაირი დახმარება]

1.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები; უპასუხეთ კითხვებს: როდიდან როდემდე? საიდან სადამდე?

ნიმუში: დილის ...ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე... თბილისის მერიაში ვიყავი.

[ცხრა საათი — თერთმეტი საათი]

1. სოფელში ყოველთვის ბევრი სამუშაოა.
[გაზაფხული — ზამთარი]
2. დღეს აღარ დამელოდოთ, სამინისტროში ვარ დაბარებული.
[სამი — შვიდი]
3. უსაქმოდ ვარ, სამსახურის დაწყება ძალიან მინდა.
[დილა — საღამო]
4. დაახლოებით 200 კილომეტრია. [თბილისი — ქუთაისი]
5. ჩვენი სამარშრუტო ტაქსიც დადის.
[სოფელი — მარნეული]
6. ჩვენი პროდუქცია დისტრიბუციის მანქანებს გადააქვს.
[ქალაქი — ქალაქი]
7. ვაჟა ბერლინში სწავლობდა. [10 წელი — 15 წელი]
8. ცენტრალური ჩემ ასფალტი ორი წლის წინ დააგეს.
[გზა — სახლი]

1.9. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ...კოლეგების წინაშე თავის მართლებას არ ვაპირებ, მათ ისედაც ყველაფერი კარგად იციან...

[კოლეგების წინაშე]

1.
[ჩვენ წინაშე]
2.
[მათ მიერ]

3.
[ქვეყნის წინაშე]
4.
[მოქალაქის მიერ]
5.
[საკრებულოს მიერ]

1.10. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნა: შეუძლია!

ნიმუში: თქვენ ...*შეგიძლიათ*... ეს მოთხოვნა გააპროტესტოთ.

- მას მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს და ბრალი აღიაროს.
- მე და ჩემს კოლეგებს უფრო პროგრესული კანონპროექტი წარვუდგინოთ პარლამენტს.
- ასეთ შემთხვევაში დირექტორს თქვენ გაგათავისუფლოთ სამსახურიდან.
- ის უკვე მოხუცდა და ამდენი შრომა აღარ
- თქვენ მთელი დოკუმენტაცია ელექტრონული ფოსტით გადააგზავნოთ?!
- პირის ბრალდებულად ცნობა მხოლოდ სასამართლოს
- ხელისუფლებას არ სასამართლო პროცესში ჩაერიოს.
- ამ ორგანიზაციას კიდევ 5 მოქალაქის დასაქმება

ნაწილი 2

სიტყვის, აზრის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ჰქვია ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრობას.
2. -----	იგივეა, რაც მასმედია.
3. -----	რაიმეს კონტროლი, აქ: ინფორმაციის საშუალებებისა.
ქადაგება	4. -----
რიტუალი	5. -----

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ –ით!

N		სწორი	არასწორი
	სიტყვისა და რწმენის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საყრდენი უფლებებია.	✓	
1	სიტყვისა და რწმენის თავისუფლება ხელს უწყობს კულტურული პლურალიზმის დამკვიდრებას საზოგადოებაში.		
2	მხოლოდ ევროპის ქვეყნებში აღკვეთენ ყურადღებას ძირითადი დემოკრატიული პრინციპების დაცვას.		
3	თუ მოქალაქე საკუთარ აზრს თავისუფლად გამოთქვამს, მაშინ ის პიროვნულ თავისუფლებას ხელს უწყობს.		
4	სიტყვის თავისუფლებიდან გამომდინარე, თავისუფალი უნდა იყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.		
5	სიტყვის თავისუფლების დაცვისათვის დასაშვებია ცენზურის გამოყენება.		
6	საქართველოში სიტყვის თავისუფლება არასდროს ირღვევა.		
7	საქართველოს სახელმწიფო იცავს რწმენისა და რელიგიის სრულ თავისუფლებას.		
8	კონსტიტუცია ვერ იცავს ადამიანებს რელიგიური შეხედულებებისაგან.		
9	საქართველოს მოქალაქეს რწმენის შეცვლის უფლება არ აქვს.		
10	მხოლოდ „სხვათა უფლებები“ შეიძლება იყოს ის მიზეზი, რომლის გამოც შეიძლება შეიზღუდოს რწმენისა და აღმსარებლობის უფლებები.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები და შესიტყვებები [1–6] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა–ვ]:**ნიმუში:** აზრიგ.....

გ. იგივეა, რაც შეხედულება.

1. საყრდენი
2. აზრის გამოთქმა
3. მასობრივი
4. ხანდახან
5. გაზიარება
6. საჯაროდ

- ა. შეხედულების დაფიქსირება.
- ბ. იგივეა, რაც საფუძველი.
- გ. აქ: რაც ფართო მასებისთვისაა განკუთვნილი.
- დ. იგივეა, რაც ზოგჯერ, ზოგ შემთხვევაში.
- ე. საქვეყნოდ, დაუფარავად.
- ვ. სხვისთვის რაიმეს თქმა, საკუთარი შეხედულების გაცნობა.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორ? და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

A.

N	როგორი?	როგორ?
	ზომიერი --->	ზომიერად
1	სამართლიანი --->	
2	კანონიერი --->	
3	ვალდებული --->	
4	სრული --->	
5	ხშირი --->	
6	იშვიათი --->	
7	მართებული --->	
8	დაცული --->	

B.

N	როგორი?	როგორ?
	საჯარო --->	საჯაროდ
1	უკანონო --->	
2	უბოძო --->	
3	სავალდებულო --->	
4	უსამართლო --->	
5	მარჯვე --->	
6	ფართო --->	
7	უმართებულო --->	

8	უსირცხვილო --->	
9	ღია --->	
10	ყრუ --->	

მართებული — იგივეა, რაც სწორი.

უმართებულო // არამართებული — იგივეა, რაც არასწორი.

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა; დაუსვით კითხვა: როგორ?

ნიმუში: ...მართებულად ... მოიქეცით, თორემ თქვენც დაგაჯარიმებენ. [მართებული]

1. ახალგაზრდა კაცი მოიქცა და გამყიდველს შენიშვნა მისცა. [სამართლიანი]
2. ის იყო დაპატიმრებული, ამიტომ მალევე გაათავისუფლეს. [უკანონო]
3. თქვენ წინაშე თავს ვგრძნობ და მინდა ფინანსურად დაგეხმაროთ. [ვალდებული]
4. დავდივარ ექსკურსიებზე, ამის დრო აღარ მრჩება. [იშვიათი]
5. ჩვენი დირექტორი არასდროს იქცევა. [უსამართლო]
6. თქვენი სტუმრობით ვარ გახარებული. [უბოძო]
7. პატარა ბიჭი კრეფდა ვაშლებს და კალათში აწყობდა. [მარჯვე]
8. ცენტრალური კარი გაიღო და დერეფანში გიორგის დედა გამოჩნდა. [ფართო]
9. დავდივარ თქვენს მაღაზიაში, რადგან ყოველთვის ახალ-ახალ პროდუქტს იღებთ. [ხშირი]
10. ასე როგორ მატყუებთ, მე ხომ ყველაფერი დავინახე?! [უსირცხვილო]

2.6. პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: შეზღუდულა, გათავისუფლებულა, დასჯილა!

ნიმუში:

მე მოვტყუებულვარ ჩვენ მოვტყუებულვართ
შენ მოტყუებულხარ თქვენ მოტყუებულხართ
ის მოტყუებულა ისინი მოტყუებულან

1.

მე შევზღუდულვარ ჩვენ

შენ თქვენ
ის ისინი

2.

მე გავთავისუფლებულვარ ჩვენ
შენ თქვენ
ის ისინი

3.

მე დავსჯილვარ ჩვენ
შენ თქვენ
ის ისინი

2.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: დარეგისტრირებულხარ, გადაწყვეტილა, შექმნილა, დასაქმებულა, შეშინებულა, გაქცეულა, გამოცხადებულა, შეზღუდულა!

1. ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ
2. , რომ ჩვენი კანონპროექტის განხილვა 23 იანვარს შედგება.
3. თუ საჯარო რეესტრში ჯერ არ .. , ცნობას ვერ გავცემ.
4. დამნაშავე ისე , რომ უკან აღარ მოუხედავს.
5. 2016 წელს საქართველოში სამი არასამთავრობო ორგანიზაცია
6. ბავშვი ისე , რომ საპატრულო პოლიციაში დაურეკავს.
7. ამ შემთხვევაში მათი საკუთრების უფლება არ , ამიტომ საჩივარს ნუ შეიტანენ.
8. ძალიან გამიხარდა, რომ ახალ საწარმოში 18 ადამიანი

2.8. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები!

ნიმუში: ისე არ ...გავმდიდრებულვარ..., რომ ასეთი ძვირადღირებული ბინა ვიყიდო. [გამდიდრება; რა მიქნია?]

1. როგორც გავიგე, უკვე ქალაქის საკრებულოში. [დასაქმება; რა გიქნიათ?]

2. ეს კანონი 2 თვის წინ და დღეიდან აუშუშავებიათ. [მიღება; რა უქნიათ?]
3. დავრწმუნდი, რომ კარგი ადამიანი [ყოფნა; რა უქნია?]
4. თქვენი მოთხოვნა ჯერ არ , ამიტომ ხვალ მობრძანდით! [დაკმაყოფილება; რა უქნია?]
5. ამ კანონის მუხლები არ , ამიტომ მეორე საპარლამენტო მოსმენის დროს შესწორდება. [დარეგულირება; რა უქნია?]
6. ძალიან , ჩემო მეგობარო! [მოტყუება; რა გიქნიათ?]
7. თქვენი უფლებები ისე არ , რომ პროტესტი გამოთქვათ! [შეზღუდვა; რა უქნია?]
8. ეს ქალბატონი სამსახურში უკვე , ამიტომ საბუთები აღარ მჭირდება. [გაფორმება; რა უქნია?]
9. ფინანსური პოლიციის მიერ ეს ორგანიზაცია არ [შემოწმება; რა უქნია?]
10. ბ-ნი გივი ჩემ გვერდით [დასახლება; რა უქნია?]

2.9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით: უნდა!

ნიმუში: ვიცი, რომ ძალიან ...გინდათ ქართული ენა ისწავლოთ.

1. არცერთი ადამიანი არ ლახავდეს სხვათა უფლებებს.
2. ხვალიდან კულტურულ ღონისძიებებს დავესწრო.
3. მიბრძანდეთ ჩვენს საკრებულოში და საქმე იქ გაარკვიოთ!
4. თქვენ , რომ საყვედურიც არავინ გითხრათ?!
5. უმცირესობის უფლებები ყველამ დავიცვათ.
6. ეს ხელშეკრულება თქვენმა იურისტმა შეადგინოს.
7. ქალაქის მერიას განცხადებით მიმართოთ და სახლის აშენების უფლება მოიპოვოთ.
8. მათ ასეთი უსამართლო გადაწყვეტილებები მიიღონ?!
9. უფლებების დამცველს მისწეროთ წერილი და ყველაფერი სასწრაფოდ შეატყობინოთ.
10. აპრილიდან სამსახური დავიწყო, ამიტომ საჭირო საბუთებს ვაგროვებ.

2.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ქ-ნი ნანა ...იმავე გადასახადების... გადაუხდელობის გამო დაიბარეს ფინანსურ დეპარტამენტში. [იგივე გადასახადები]

1. დირექტორს ხვალ აჩვენებთ, რომელშიც წესები შევცვალეთ. [იგივე ხელშეკრულება]
2. გაწუხებთ, რა ვქნა, თქვენს იქით გზა არ მაქვს. [იგივე პრობლემა]
3. მეც უნდა წავიდე, რადგან სიტყვის თავისუფლების დაცვა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. [იგივე აქცია]
4. ეს დანაშაული ჩაიდინა? [იგივე პირი]
5. თქვენც ხომ წევრი ხართ, ამიტომ სხდომას აუცილებლად დაესწარი. [იგივე საზოგადოება]
6. სავარაუდოდ, ამ ბრალდებულს გაასამართლებენ. [იგივე მუხლი]
7. 15-დან 28 მაისამდე თბილისში არ ვიქნები. [იგივე თვე]
8. თქვენ ხომ მიყენებთ, რომელიც ხელშეკრულებაშია მითითებული?! [იგივე მოთხოვნა]

ნაწილი 3**საკუთრება და საკუთრების უფლება****3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:**

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	კერძო, პირადი ქონება.
2. -----	ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი.
3. -----	ჰქვია ორ მხარეს შორის წერილობით გაფორმებულ ვალდებულებებს.
რეგისტრაცია	4. -----
განკარგვა	5. -----

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ –ით!

N		სწორი	არასწორი
	საკუთრება შეიძლება იყოს ნივთი, ფული ან ფასიანი ქაღალდი.	✓	
1	საკუთრებაში არსებული ნივთი მხოლოდ უძრავი შეიძლება იყოს.		
2	უძრავი ნივთი არის მიწის ნაკვეთი თავისი მცენარეებითა და შენობა-ნაგებობებით.		
3	მოდრავ ნივთებზე საკუთრების უფლება საბუთის გარეშე წარმოიშობა.		
4	საყოფაცხოვრებო ნივთები უძრავი ნივთებია.		
5	თუ მესაკუთრე მოძრავ ნივთს შეიძენს, არ არის აუცილებელი ხელშეკრულების გაფორმება ან ნივთის რეგისტრაცია.		
6	საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე საჯარო რეესტრში აუცილებლად უნდა გაფორმდეს.		
7	საკუთრების უფლება ნივთზე გულისხმობს მის ფლობას, ამ ნივთით სარგებლობას.		
8	თუ უძრავი ნივთი პირის საკუთრებაა, მას არ შეუძლია გაასხვისოს ის.		
9	საკუთრების უფლება ადამიანის არსებობის საფუძველია.		
10	საქართველოს კონსტიტუცია საკუთრების უფლებას არ იცავს.		
11	მოქალაქისთვის საკუთრების უფლების შეზღუდვა ან მისი ჩამორთმევა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებშია შესაძლებელი.		

3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: საკუთრების წარმოშობაბ.....

ბ. ტერმინი, რომელიც ქონების საკუთრებად ქცევის იურიდიულ ფაქტს გულისხმობს.

1. ფლობა
2. ნივთით სარგებლობა
3. ბუნებითი
4. მემკვიდრეობა
5. ჩამორთმევა

- ა. ქონების გადაცემა მშობლიდან შვილზე.
- ბ. იგივეა, რაც ნივთის საკუთრებაში ქონა: ხელში ჭერა, ჯიბეში ჩადება და ა.შ.
- გ. აქ: ქონებრივი უფლების სახელმწიფოსთვის გადაცემა.
- დ. ნივთის გამოყენება.
- ე. იგივეა, რაც თანდაყოლილი, ბუნებით ბოძებული.

3.4. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვა თავისი მხოლოდობით ან მრავლობითის ფორმით!

ნიმუში: გუბერნატორმა ...თავის... გადაწყვეტილებას ხელი გუშინ მოაწერა.

1. მესაკუთრებმა მიწის ნაკვეთები კარგად შელობეს.
2. გუშინდელ აქციაზე მოქალაქეები უფლებების დაცვას მოითხოვდნენ.
3. ქალბატონმა ლიამ უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა.
4. ჩვენმა თანამშრომლებმა რეკომენდაციები საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგინეს.
5. არასამთავრობო ორგანიზაციები შენიშვნებს ხვალ გაგვაცნობენ.
6. პრეზიდენტმა ანგარიში საპარლამენტო სხდომაზე წაიკითხა.
7. ოპოზიციურმა მხარეებმა დამოკიდებულების შესახებ წერილობით გვაცნობეს.
8. ჯანდაცვის მინისტრმა ვიზიტი არ გადადო და დიდ ბრიტანეთში გაემგზავრა.
9. მას შეუძლია დოკუმენტები კანცელარიაში დატოვოს.
10. ჯერ კიდევ არ მოუტანია ბ-ნ გივის ხელშეკრულება?

3.5. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რა?	როგორი?
	ბუნება	ბუნებითი
1	შრომა	
2	მოხსენება	
3	შედარება	

4	განმეორება	
5	დამატება	
6	დაწყება	
7	აღმზრდელობა	
8	შემთხვევა	

3.6. ააგეთ წინადადებები მოცემული წყვილებით!

ნიმუში: ...თქვენს მოხსენებით ბარათს ჩემს მდივანთან დატოვებთ...

[მოხსენებითი ბარათი]

1.

[განმეორებითი გამოცდები]

2.

[დამატებითი ინფორმაცია]

3.

[დაწყებითი სკოლები]

4.

[წერილობითი ხელშეკრულება]

5.

[შემთხვევითი ფაქტი]

3.7. გამოთოვებულ ადგილას ჩასვით:

ა) ჯერ მერე// შემდეგ//შემდგომ.....

ბ) ჯერჯერობით

ნიმუში: ...ჯერ... სამსახურში უნდა წავიდე და ...მერე... გამოვივი.

1. ბატონი დავითი უხელმძღვანელებს საკრებულოს, კი ახალ არჩევნებს დაველოდებით.

2. მაგ ამბის შესახებ არავის ვაცნობებთ.

3. ისევ ჩვენს განყოფილებაში მუშაობთ, ამიტომ გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ!

4. დოკუმენტზე ხელმოსაწერად მერიაში მიბრძანდით, კი —
ჩემთან!
5. ქვეყანაში ადამიანის უფლებები მაინც ირღვევა.
6. თქვენი აზრი გამაცანით და ერთად მივიღოთ გადაწყვეტილება.
7. ჩემი კოლეგა შემეცოდა, ის უცხო მამაკაცი.
8. შენ თვითონ უნდა იყო თავისუფალი ადამიანი, სხვის
თავისუფლებას აფასებდე!
9. არაფერი უთხრათ, თავისი თანამდებობრივი მოვალეობები შეასრულოს!
10. მაღალ ანაზღაურებას არ ვიღებ, ამიტომ ოჯახის შენახვა მიჭირს.

3.8. დააკვირდით დაფაზე გამოტანილ შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

სიტყვა შეაწყვეტინა — საუბრის, ლაპარაკის დროს გააჩერა.

სიტყვა ჩამოართვა — საუბრის დროს გააჩერა და ლაპარაკი თვითონ გააგრძელა.

სიტყვა მოუჭრა — საუბარი სხარტი, მოქნილი პასუხით შეაწყვეტინა.

სიტყვა შეუბრუნა — შეეპასუხა; პასუხით წინააღმდეგობა გაუწია [მაგ., თავხედურად, უზრდელად და სხვა].

ნიმუში: სხდომის თავმჯდომარემ გამომსვლელს სიტყვა ჩამოართვა და საუბრის თემა შეცვალა.

1.
[სიტყვა შეაწყვეტინა]

2.
[სიტყვა მოუჭრა]

3.
[სიტყვა ჩამოართვა]

4.
[სიტყვა შეუბრუნა]

3.9. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

არდადეგები მქონდა და სოფელში წიგნის კითხვით ვიყავი გართული. ბებოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თავს მევლებოდა. ერთი ჩვეულებრივი საღამო იდგა, არაფრით გამორჩეული, როცა მებობელი ეზოდან მეგის შემზარავი კივილი გაისმა. ხმაური არ წყდებოდა, ფეხზე წამოვხტი და ბებოსთან ერთად იქით გავემართე, საიდანაც ახალგაზრდა ქალი შველას ითხოვდა.

— ბავშვს არ დაარტყა, არ გაბედო, თორემ..., — კანკალებდა მეგი და ქმარს წინ უდგებოდა. ხუთი წლის ნიკოს ალუბლისხელა ცრემლები თვალებზე ჩამოჰკიდებოდა და დედის ზურგს უკან კატის კნუტივით შემძვრალიყო. გიგო ფეხზე ძლივს იდგა, გაღეშილ სხეულს ვედარ იკავებდა, აქეთ-იქით ქანაობდა, ჯოხს იქნევდა და ცოლ-შვილს საშინელი სიტყვებით ლანძღავდა.

— ერთი აქეთ გამომხედე, შე მუქთახორავ, შენა, ახლავე განყოფილებაში წაგაბრძანებ, — უთხრა თამაზმა გიგოს და მთელი ძალით თავისკენ შემოაბზრიალა.

— თავი დამანებე, შენც არ მიგაყოლო, განყოფილებაში არა, ისა... — გიგომ და მოწინააღმდეგისაკენ გაიწია.

— თაზო, ბიჭო, არ დამლუპო, მოვრალია, ხომ ხედავ, — უცებ ხვეწნაზე გადავიდა მეგი, — გამოფხიზლდება და აღარაფერი ემახსოვრება...

— არა, დიდდა გენაცვალოს, არა, — ბებომ და თავსაფარი ნერვიულად მოიხსნა, — კიდევ დათვრება და გაიმეორებს, სჯობს, ჭკუა ისწავლოს!

მუქთახორა — იგივეა, რაც უსაქმური.

დიდდა — იგივეა, რაც დიდი დედა, ანუ ბებია.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი და არასამართლებრივი მექანიზმები

ნაწილი 1

სასამართლო ხელისუფლება

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა / შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	ეწოდება კონფლიქტებს მოქალაქეთა შორის.
2. -----	სასამართლო საქმიანობის პროცესი.
3. -----	კანონის შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი.
მოქალაქე	4. -----

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	ადამიანის უფლებებს სასამართლო ხელისუფლება იცავს.	✓	
1	სასამართლო ხელისუფლება მოიცავს საკონსტიტუციო კონტროლსა და მართლმსაჯულებას.		
2	მართლმსაჯულებას მხოლოდ ორი სასამართლო ინსტანცია ახორციელებს.		
3	საკონსტიტუციო კონტროლი საერთო სასამართლოებს ევალება.		
4	მართლმსაჯულება სამოქალაქო დავებსა და სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს.		
5	სასამართლო სისტემა 4 ინსტანციისაგან შედგება.		
6	სასამართლო სისტემის პირველ ინსტანციაში მხოლოდ საქალაქო სასამართლოები შედის.		
7	პირველ ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.		
8	სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღარ გასაჩივრდება.		

9	ქვეყანაში სამართალწარმოების პროცესი სახელმწიფო ენაზე ხდება.		
10	სამართალწარმოების პროცესში, თუ პირმა სახელმწიფო ენა არ იცის, მას თარჯიმანი ენიშნება.		
11	მოსამართლე იღებს სასამართლო გადაწყვეტილებას, გამოაქვს მსჯავრი.		
12	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ნიშნავს პირს მოსამართლის თანამდებობაზე.		
13	მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან.		
14	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 9 მოსამართლისაგან შედგება.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: კონტროლიბ.....

ბ. იგივეა, რაც გედამხედველობა.

1. სისხლის სამართლის საქმე
2. ხელისუფლების სამი შტო
3. ინსტანცია
4. გასაჩივრება
5. თარჯიმანი

ა. აქ: სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი საფეხური.

ბ. მიეკუთვნება მძიმე დანაშაულის კატეგორიას.

გ. საჩივრის შეტანა.

დ. იგივეა, რაც მთარგმნელი.

ე. ჰქვია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

1.4. უპასუხეთ კითხვას რა? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	როგორი?	რა?
	მართალი	სიმართლე
1	კეთილი	
2	ბრძენი	

3	ღარიბი	
4	ყალბი	
5	ხარბი	
6	წმინდა	
7	ცოცხალი	
8	მხდალი	
9	მშრალი	
10	ძველი	
11	ნამდვილი	
12	ფხიზელი	

ყალბი — იგივეა, რაც ცრუ.

ხარბი — იგივეა, რაც გაუმაძღარი.

მხდალი — იგივეა, რაც მშიშარა.

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: შენს ...სიკეთეს... მალე ყველა დაინახავს. [სიკეთე]

- დაძლევა სოციალური პროგრამებით უნდა მოხდეს. [სიღარიბე]
- ადამიანს შეიძლება ბევრი ბოროტება ჩაადენინოს. [სიხარბე]
- და ტყუილს სიკეთე არასდროს მოაქვს. [სიყალბე]
- უფლების ხელყოფა უმძიმესი დანაშაულია. [სიცოცხლე]
- მისი გამო ჩვენც საყვედური უნდა გამოგვიცხადონ. [სიმხდალე]
- საბუთების არაერთი პრობლემა შექმნა, ყველაფერი თავიდან უნდა გაკეთდეს. [სიძველე]
- ასე ვერ გავიგებთ, სჯობს, სასამართლოს მივმართოთ. [სიმართლე]
- 100 მეტრში პატრულის მანქანები დგას და პოლიცია მძღოლების ამოწმებს. [სიფხიზლე]

1.6. ბრძანებითი წინადადებები გადაიყვანეთ უარყოფით ფორმაში!

ნიმუში: სასამართლოში იჩივლეთ!

... სასამართლოში **არ** იჩივლოთ!...

1. ხელისუფლება გააკონტროლეთ!

.....

2. ხვალიდან მისი უფლებები შეზღუდეთ!

.....

3. ახალი დირექტორი დანიშნეთ!

.....

4. მოქალაქეთა უფლებები დაიცავი!

.....

5. გადაწყვეტილება სწრაფად შეცვალეთ!

.....

6. ეს საქმე სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრე!

.....

7. ახალი ბრძანება გამოეცით!

.....

8. ჯერ რაიონული სასამართლოს მოსამართლეები აირჩიეთ!

.....

9. მინისტრის გადაწყვეტილება შეასრულე!

.....

10. პარლამენტს უზენაესი მოსამართლეების სია წარუდგინეთ!

.....

1.7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: როგორ ფიქრობთ, ...ამდენ საბუთს... დღესვე შეამოწმებენ? [ამდენი საბუთი]

1. ჩემს ცხოვრებაში ერთდროულად არ მექონია. [ამდენი გამოცდა]

2. მათი ოჯახი ვერ გასწვდება, მატერიალურად ძალიან უჭირთ.
[ამდენი ხარჯი]

3. უნდა გასცეთ პასუხი, რამდენსაც მართლმსაჯულება დასვამს.
[იმდენი შეკითხვა]

4. ორი კვირა მაინც გვინდა შესასწავლად. [ამდენი დოკუმენტი]
5. შემდეგ ყველა დასვენებას ითხოვს. [მაგდენი სამუშაო]
6. გაბომბეთ გზის სიგანე, რომ კერძო საკუთრებას არ შეეხოთ!
[იმდენი მეტრი]
7. შემოდგომით ხახვს ვყიდულობ, რამდენიც ჩემს ოჯახს მთელი
წელი ეყოფა. [იმდენი კილოგრამი]
8. ოფისის სეიფში ვერ შეინახავთ, სჯობს, ბანკში შეიტანოთ. [მაგდენი
თანხა]

1.8. ააგეთ კითხვითი წინადადებები სიტყვებითთუ არა!

ნიმუში: ...არის თუ არა ეს სააპელაციო სასამართლოს შენობა?...

1.
2.
3.
4.
5.

1.9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით კითხვები: რატომ? ან რის გამო?, პასუხებში კი გამოიყენეთ: იმიტომ ან იმის გამო!

ნიმუში:რატომ.... მოხვედით ასე ადრე?

....იმიტომ..., რომ არ ვიცოდი, როდის იწყებოდა სხდომა.

1. გამოსცეს ასეთი ბრძანება?
....., რომ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები გახშირდა.
2. დასაჯეს ეს თანამშრომელი?
....., რომ სამსახურში აგვიანებდა.
3. გაუშვეს ბ-ნი თამაზი ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან?
....., რომ ჩვენს უფლებებს არ იცავდა.

4. ჩქარობთ ასე ძალიან?
, რომ სახლში რაიონიდან ჩამოსული სტუმრები მყავს.
5. შეცვალა მინისტრმა თავისი გადაწყვეტილება?
, რომ ევროკომისიისგან ახალი რეკომენდაცია მიიღო.
6. ასაჩივრებთ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას?
, რომ ჩვენს საქმეს ფინანსური დოკუმენტები აკლდა.
7. მიიღეს ეს გამოუცდელი ყმაწვილი სამსახურში?
, რომ ნიჭიერი ახალგაზრდაა.
8. არ წარუდგინეთ პარლამენტს თქვენი კანონპროექტი?
, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს მზად.

1.10. ააგეთ წინადადებები ფრაზებით: ჩემი აზრით, მისი აზრით, მოსამართლის აზრით, ადვოკატის აზრით!

ნიმუში: ჩემი აზრით, სასამართლო ხელისუფლებაში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს.

1.
2.
3.
4.

ნაწილი 2

იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა / შესიტყვება	მისი მნიშვნელობა
1. -----	დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს სასამართლო სისტემას.

2. -----	ის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე სამუშაოს ხელმძღვანელობს.
3. -----	ის ინიშნება თანამდებობიდან და ამ მოვალეობას ასრულებს მანამ, ვიდრე თანამდებობას იკავებს.
თანამდებობის დაკავება	4. -----

2.2. მიუთითეთ სწორი თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ მიეკუთვნება სასამართლო ხელისუფლებას.		✓
1	საქართველოს უმაღლესი იუსტიციის საბჭოს მთავარი ფუნქცია მოსამართლეების დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხებია.		
2	საქართველოს უმაღლესი იუსტიციის საბჭო 21 წევრისაგან შედგება.		
3	საქართველოს უმაღლესი იუსტიციის საბჭოს წევრებს ხელისუფლების სამივე შტო ნიშნავს.		
4	საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი პარლამენტარია.		
5	საქართველოს უმაღლესი იუსტიციის საბჭოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.		
6	საქართველოს პრეზიდენტი უმაღლესი იუსტიციის საბჭოში 3 წევრს ნიშნავს.		
7	სასამართლო ხელისუფლების 8 წევრიდან ირჩევენ საბჭოს მდივანს.		
8	იუსტიციის საბჭოს წევრებს 4 წლის ვადით ირჩევენ.		
9	თანამდებობრივი წევრები იუსტიციის საბჭოში მანამდე რჩებიან, ვიდრე ისინი ამ თანამდებობებს იკავებენ.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: დანიშვნა-გათავისუფლებაბ.....

ბ. პირის მიღება კონკრეტულ თანამდებობაზე ან მისი დათხოვნა.

1. წევრი

2. შტო
 3. მდივანი
 4. უზენაესი
 5. შესაბამისი

- ა. იგივეა, რაც შესაფერისი, შესატყვისი.
 ბ. აქ: იგივეა, რაც პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.
 გ. აქ: ყველაზე მაღლა მდგომი ინსტანცია.
 დ. აქ: რაიმეს განაყოფი, მთელის ნაწილი.
 ე. აქ: პიროვნება, რომელიც რაიმე ჯგუფშია გაერთიანებული.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რა?	როგორი?
	დედა	დედობრივი
1	მოქალაქე	
2	ასაკი	
3	ენა	
4	ზნე	
5	მასა	
6	ნაწილი	
7	რასა	
8	საათი	
9	შინაარსი	

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: საქმის ...შინაარსობრივი განხილვის ... შემდეგ სპეციალური დოკუმენტი შევადგინეთ.
 [შინაარსობრივი განხილვა]

1. ქ-ნ თინას არ უღალატა და მალევე მიხვდა, რომ მისი შვილი ტყუილს ამბობდა. [დედობრივი განცდა]

2. ჩემს ყოველთვის ვიხდი და ახლაც ვაპირებ არჩევნებზე წასვლას.
[მოქალაქეობრივი ვალი]
3. ქორწინების რეგისტრაციის დროს კანონი არ კრძალავს. [ასაკობრივი განსხვავება]
4. გამო უმაღლეს სასწავლებელში საბუთებს ვერ შევიტან, ჯერ ქართული ენა კარგად უნდა ვისწავლო. [ენობრივი ბარიერი]
5. ჩვენი საზოგადოება ელემენტარული დაცვას დიდ ყურადღებას აქცევს.
[ზნეობრივი ნორმები]
6. გუშინდელმა თავისი შედეგი გამოიღო და გუბერნატორმა გადაწყვეტილება შეცვალა. [მასობრივი პროტესტი]
7. შედეგად მაღალსართულიანი კორპუსის მშენებლობა დროებით შეაჩერეს. [ნაწილობრივი შეთანხმება]
8. საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს ნებისმიერი სახის [რასობრივი დისკრიმინაცია]
9. ჩემს სამსახურში 2 თანამშრომელი აიყვანეს. [საათობრივი დატვირთვა]

2.6. შეარჩიეთ და გამოთოვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: მანამ, სანამ // ვიდრე!

ნიმუში: ...სანამ... ჩემი ღირექტორი არ მოვა, პასუხს ვერ გაგცემთ.

1. სამსახურში ვერ მიგიღებენ, განცხადებას არ შემოიტანთ.
2. აცივდება, მოსავლის აღება უნდა მოვასწრო.
3. მინისტრთან მიხვალ, ჩემთან შემოდი და ყველა დოკუმენტი თან წაიღე.
4. ჩემი სპეციალობით არ ვიშოვი სამსახურს, ვერ მოვისვენებ.
5. ჩემთან დარჩი, უცხოეთში წახვალ.
6. მოქალაქე აბაშიძე დააჯარიმეს, ამ ახსნა-განმარტებას დაწერდა.
7. ჩემთან მოხვიდოდით, ყველაფერი ისედაც ვიცოდი.
8. მგზავრი მიხვდა, რომ საფულე ამოაცალეს, ავტობუსის მძღოლმა ყველაფერი სარკეში დაინახა.
9. ქართულად დაიწყებ წერას, შენს მშობლიურ ენაზე დამიწერე განცხადება.
10. იჩქარე, ჩვენი მატარებელი სადგურიდან არ გასულა.

2.7. პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები: დაუკავებია, განუხილავს, გაჩერებულა!

მე დამიკავებია	ჩვენ
შენ	თქვენ
მას	მათ
მე განმიხილავს	ჩვენ
შენ	თქვენ
მას	მათ
მე გავჩერებულვარ	ჩვენ
შენ	თქვენ
ის	ისინი

2.8. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: გამისაჩივრებია, გამოუტანიათ, შეუდგენიათ, შესულა, დამტკიცებულა, წარმიდგენია, ამირჩევია, დაუნიშნავთ!

1. იუსტიციის საბჭოს მდივნად ქ-ნი თამარი
2. ჩვენი ორგანიზაციისთვის სპეციალური რეკომენდაციები
3. საქალაქო სასამართლოს სხდომა უკვე დამთავრებულა და შესაბამისი დასკვნაც
4. გვერდით მაღაზიაში ფინანსური პოლიცია და დიდი ჯარიმა დაუკისრებიათ.
5. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ
6. ეგ დეპუტატი მე არ
7. თქვენი სიმართლე ჯერ არ, სასამართლოს განაჩენს დაელოდეთ!
8. ბ-ნი გიორგი იუსტიციის საბჭოს წევრად მე არ, ამიტომ პასუხს არ ვაგებ.

2.9. პირების მიხედვით შეცვალეთ ზმნები!**ნიმუში:**

მე ვირჩევ	ჩვენ ვირჩევთ	[ის მე] მირჩევს	[ის ჩვენ] გვირჩევს
შენ ირჩევ	თქვენ ირჩევთ	[ის შენ] გირჩევს	[ის თქვენ] გირჩევთ
ის ირჩევს	ისინი ირჩევენ	[ის მას] ირჩევს	[ის მათ] ირჩევს

მე ვსჯი	ჩვენ	[ის მე] მსჯის	[ის ჩვენ]
შენ	თქვენ	[ის შენ]	[ის ჩვენ]
ის	ისინი	[ის მას]	[ის მათ]
მე ვნიშნავ	ჩვენ	[ის მე] მნიშნავს	[ის ჩვენ]
შენ	თქვენ	[ის შენ]	[ის ჩვენ]
ის	ისინი	[ის მას]	[ის მათ]
მე ვზღუდავ	ჩვენ	[ის მე] მზღუდავს	[ის ჩვენ]
შენ	თქვენ	[ის შენ]	[ის თქვენ]
ის	ისინი	[ის მას]	[ის მათ]

2.10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ზმნები: წარმადგენს, გაგაფრთხილებენ, მოგისმენენ, გაგვაცნობს, დამაკისრებენ, გაუშვებს!

1. აუცილებლად, რომ ხვალ სხდომას უნდა დაესწროთ.
2. თუ მეორედაც ასე მოიქცევა, მენეჯერი სამსახურიდან
3. ჩვენი ორგანიზაციის დირექტორი ორშაბათს თავის ახალ გეგმას
4. აუდიტის სამსახური ჩემს განყოფილებას ამოწმებს და არ ვიცი, ჯარიმად რა რაოდენობის თანხას
.....
5. ვფიქრობ, რომ ყურადღებით, რადგან ძალიან საინტერესო პროექტი შეგიდგენია.
6. ორშაბათს იუსტიციის საბჭოს მდივანი რაიონულ მოსამართლედ

2.11. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები შესაბამისი ფორმებით!

ნიმუში: განყოფილების უფროსს სამსახურიდან ვათავისუფლებ.

განყოფილების უფროსი მე სამსახურიდან ..მათავისუფლებს...

1. მე მას დოკუმენტს შევუდგენ.
- ის მე დოკუმენტს
2. დღეს მე გამოცდას ვაბარებ.
- დღეს მოსწავლე გამოცდას მე
4. მე მას ახალ თანამდებობაზე ვამტკიცებ.

ის მე ახალ თანამდებობაზე

5. მე მას ხმას ვაძლევ.

ჩემი მეზობელი ხმას მე

6. მე მას არაფერს ვართმევ.

ის მე არაფერს

7. მე მას არ ვბლუდავ.

ის მე არ

8. მე პარლამენტის თავმჯდომარეს ვეთანხმები.

პარლამენტის თავმჯდომარე მე

9. მე მას პასუხს მოვთხოვ.

ის მე პასუხს

10. მე ბ-ნ გიორგის დავალებას მივცემ.

ბ-ნი გიორგი მე დავალებას

11. ჩემს მეგობარს აზრებს ვუზიარებ.

ჩემი მეგობარი აზრებს

ნაწილი 2

ადამიანის უფლებათა დაცვის არასასამართლო მექანიზმები

3.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ოფიციალური პირი, რომელსაც ევალება ხალხის დაცვა.
2. -----	ადამიანის უფლებების ხელისშემშლელი მიზეზების მოსპობა.
3. -----	იგივეა, რაც სწავლება.
თანამდებობის პირი	4. -----
მხარე	5. -----

3.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველოში ადამიანის უფლებებს მხოლოდ სასამართლო იცავს.		✓
1	ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი არასასამართლო მექანიზმია სახალხო დამცველი და მისი აპარატი.		
2	სახალხო დამცველის ინსტიტუტს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და ამ უფლებების აღდგენა ევალება.		
3	სახალხო დამცველის ინსტიტუტს საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობს.		
4	ომბუდსმენს 7 წლის ვადით ირჩევენ.		
5	სახალხო დამცველის ინსტიტუტს საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს.		
6	სახალხო დამცველის ინსტიტუტს ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია ჩაატაროს ღონისძიებები სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლებისა და თანამდებობის პირებისთვის.		
7	სახალხო დამცველის საქმიანობის ხელის შეშლა კანონით ისჯება.		
8	სახალხო დამცველის ოფისი მხოლოდ თბილისშია.		
9	მედიაციის ცენტრები ეხმარება მოქალაქეებს უფლებების დაცვასა და დავების მოგვარებაში.		
10	მედიატორი კვალიფიციური სპეციალისტი და ნეიტრალური უნდა იყოს.		
11	მედიაციის დროს მხარეები თვითონ არ იღებენ გადაწყვეტილებას, ამას მედიატორი აკეთებს.		

3.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-7] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-გ]:

ნიმუში: არასასამართლო....ბ....

ბ. ის, რაც არ ეხება სასამართლოს.

1. მექანიზმი
2. მედიატორი
3. თავისუფლება
4. ღონისძიება

5. თანამშრომელი
6. მიუკერძოებელი
7. სპეციალისტი

- ა. პიროვნების შესაძლებლობა, გამოიყენოს საკუთარი უფლება კანონის ფარგლებში.
- ბ. რაიმე მიზნით დაგეგმილი მოქმედება.
- გ. რომელიმე ორგანიზაციაში მომუშავე პირი.
- დ. იგივეა, რაც ობიექტური.
- ე. რაიმე სპეციალობის მქონე; კონკრეტულ დარგში განსწავლული.
- ვ. იგივეა, რაც შუამავალი, შუაში მდგომი.
- ზ. ერთიანი მოქმედებების სისტემა.

3.4. უპასუხეთ კითხვას ვინ? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	ვინ?	ვინ?
	მშრომელი	თანამშრომელი
1	ტოლი	
2	მონაწილე	
3	მოქალაქე	
4	მოსაუბრე	
5	მომხსენებელი	
6	დამფინანსებელი	

3.5. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: დაბადების დღეზე გიორგი თავისი ...*თანატოლების*... დაპატიუებას აპირებს. [თანატოლები]

- სამინისტროს მეცამეტე ხელფასი საახალწლოდ გამოუწერეს. [თანამშრომლები]
- ამ საქმის პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს. [თანამონაწილეები]
- მინდა თქვენს შევასხენო, რომ პირდაპირ ეთერში არიან და კორექტულობა უნდა დაიცვან. [თანამოსაუბრეები]
- ჩვენმა კარგად იციან, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა ფაქტს ომბუდსმენის ინსტიტუტი სწავლობს. [თანამოქალაქეებმა]

5. ჩემს ხელი ერთმა უზრდელმა ახალგაზრდამ შეუშალა. [თანამომხსენებელი]
6. თქვენი ერთ დოკუმენტს ხელმოწერა და ორგანიზაციის ბეჭედი აკლია. [თანადამფინანსებელი]

3.6. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რას იზამს?	როგორი? [უარყოფითი ფორმა]
	მოაგვარებს	მოუგვარებელი
	შეამჩნევს	შეუმჩნეველი
1	გამართლებს	
2	გაავრცელებს	
3	დააზიანებს	
4	გაანადგურებს	
5	გაიზრებს	
6	დაარეგულირებს	
7	დასჯის	
8	შეაჯამებს	
9	შეამსუბუქებს	
10	შეიბრალებს	
11	გააფრთხილებს	

შეიბრალებს — იგივეა, რაც შეიცოდებს, შეეცოდება.

3.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ამდენი ხნის ...მოუგვარებელ საკითხს... ერთ დღეში ვერ გამოვასწორებთ...
[მოუგვარებელი საკითხი]

1. გამო კინალამ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.
[გაუფრთხილებელი მოქმედება]

2. მოსმენას არ ვაპირებ. [გაუმართლებელი არგუმენტები]
3. სალამოს საინფორმაციო გადაცემაში გავასაჯაროებთ.
[გაუვრცელბელი ფაქტები]
4. შესახებ საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანს
შეატყობინეთ! [გაუნადგურებელი დოკუმენტები]
5. კანონით გამო ახალი ნორმატიული აქტის მიღება მოგვიწევს.
[დაურეგულირებელი წესები]
6. ჩემთან ნუ შემოიტანოთ, ხელს არ მოვაწერ! [შეუჯამებელი
ოქმი]
7. შეიძლება ბევრი დანაშაული ჩაიდინოს და თანამოქალაქებს
ავნოს. [შეუბრალებელი ადამიანი]
8. მოქალაქეების უკმაყოფილება მოჰყვა. [დაუსჯელი
დანაშაული]

3.8. ააგეთ წინადადებები მოცემული შესიტყვებებით!

ნიმუში: ომბუდსმენის ...*ანგარიშის მიხედვით*... ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ 11 მძიმე ფაქტი დაფიქსირდა. [ანგარიშის მიხედვით]

1.
[თქვენი შეხედულების მიხედვით]
2.
[შენიშვნის მიუხედავად]
3.
[პრობლემის მიუხედავად]
4.
[დადგენილი ვადის მიხედვით]
5.
[უსამართლობის მიუხედავად]

3.9. დააკვირდით დაფაზე გამოტანილ შესიტყვებებს და მათი დახმარებით ააგეთ წინადადებები!

ზურგი შეაქცია — უარყო, მიატოვა ვინმე ან რამე.

ენა წაიგრძელა — ზედმეტს, ბევრს ლაპარაკობს, ყბედობს; იგივეა, რაც: გრძელი ენა აქვს, ენაგრძელია.

ენა წინ უსწრებს — უადგილოდ, დაუფიქრებლად ლაპარაკობს.

ენა მუცელში ჩაუვარდა — გაჩუმდა; ლაპარაკი, საუბარი შეწყვიტა.

მაგარი ზურგი აქვს — ძლიერი პატრონი, მფარველი ჰყავს.

ნიმუში: ახალგაზრდა კაცს ენა მუცელში ჩაუვარდა, როცა საპატრულო პოლიციამ საბუთები მოსთხოვა.
[ენა მუცელში ჩაუვარდა]

1.

[ენა წაიგრძელა]

2.

[ენა მუცელში ჩაუვარდა]

3.

[ზურგი შეაქცია]

4.

[მაგარი ზურგი აქვს]

3.10. წაიკითხეთ ტექსტი, შეარჩიეთ და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით ნასწავლი შესიტყვებები!

დილის 11 საათი იქნებოდა, როცა ბათუმის ქვიანი სანაპირო ქალაქიდან ჩამოსული დამსვენებლებით გაივსო. ფერად-ფერად საცურაო კოსტიუმებში გამოწყობილი გოგონები ადგილებზე ისე მოკალათებულიყვნენ, რომ ერთი სანტიმეტრით გადაწევასაც ვერ გაუბედავდი. მცხუნვარე მზე ზენიტისაკენ მიიწევდა, ადამიანს ძალას აცლიდა. სიმინდითა და ათასგვარი რამით მოვაჭრეები გზას ძლივს მიიკვლევდნენ და ხმამაღალი შეძახილებით იქაურობას აცრუებდნენ. ზღვაში ჩასვლას ვაპირებდი, ამიტომ წამოვიწიე და, ის იყო, უნდა წამოვმდგარიყავი, რომ თვალი ათიოდე წლის ფეხშიშველა ბიჭს მოვკარი. გოგონებისაკენ ყვირილით მოემართებოდა, ხელში თხილითა და ჩირებით სავსე პარკები ეჭირა.

— უიმევე..., რა ხდება, გვერდით ვერ გაივლი, ზედ რომ არ გადამიარო?!... ოჯახში არ იზრდები?! — ..
..... წითელკოსტიუმიანმა და ზიზღისაგან სახე მოლრიცა.

ბიჭი გაჩუმდა, თითქოს , პარკები კიდევ უფრო ძლიერად ჩაბლუჯა და დასიცხულ თვალებში ხნიერი კაცის სევდა გამოეხატა.

— ობოლი ვარ... ორი წლის წინ მშობლები ავარიამი დამეხოცა, — მოკუმული ტუჩებიდან ძლივს წარმოთქვა მან, გოგონებს და დამსკდარი ფეხები ცხელ ქვებზე მძიმედ გადააბიჯა.

ქართული ენა პროფესიულ ურთიერთობაში ქართული ენა და სამოქალაქო განათლება

1. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓ -ით!

N		სწორი	არასწორი
	საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა.	✓	
1	საქართველოს მართავს ხალხი როგორც პირდაპირ, ისე წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით.		
2	ხალხის პირდაპირი მმართველობა მხოლოდ რეფერენდუმით გამოიხატება.		
3	რეფერენდუმი და პლებისციტი ეფუძნება საერთო სახალხო გამოკითხვას.		
4	ქვეყანაში რეფერენდუმი ტარდება არა ნაკლებ 300 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.		
5	საკანონმდებლო ინიციატივა, ანუ კანონპროექტის წარდგენა, არ განეკუთვნება სახალხო მმართველობის ფორმას.		
6	ხალხი სახელმწიფოს მხოლოდ პარლამენტის მეშვეობით მართავს.		
7	სახელმწიფოში ყველა მოქალაქე აქტიურია.		
8	თუ მოქალაქე არ არის ჩართული საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში, ის არ არის აქტიური მოქალაქე.		
9	აქტიური მოქალაქე მხოლოდ სხვის უფლებებს იცავს.		
10	აქტიურ მოქალაქეს არ აინტერესებს თანამოქალაქეთა წამების ფაქტები.		
11	ღირსების, საკუთრების, განათლების უფლებების დაცვა საქართველოს მოქალაქის პრიორიტეტებია.		
12	საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოქმედებს ცენზურა.		
13	თუ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება ირღვევა, ეს მოქალაქეთა პასიურობის ბრალია.		

2. დაუსვით კითხვა და გამოყავით, რა აქვს საერთო ჩამოთვლილ სიტყვებს!

ნიმუში: არადემოკრატიული, არაადამიანური, არაკონსტიტუციური.

პასუხი:როგორი?**არა**.....

1. ორაზროვანი, მნიშვნელოვანი, სურნელოვანი.

პასუხი:

2. შეზღუდული, დასაქმებული, დარეგულირებული.

პასუხი:

3. დაცულად, კონსტიტუციურად, ზომიერად.

პასუხი:

4. საჯაროდ, უკანონოდ, უსამართლოდ.

პასუხი:

5. ბუნებითი, დამატებითი, შემთხვევითი.

პასუხი:

6. სიმართლე, სინამდვილე, სიფხიზლე.

პასუხი:

7. დედობრივი, ასაკობრივი, მოქალაქეობრივი.

პასუხი:

8. თანამოქალაქე, თანამონაწილე, თანამშრომელი.

პასუხი:

3. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა!

ნიმუში: თუ ...არაადამიანურ მოპყრობას მკაცრად არ დასჯით, დემოკრატიის გზას ასცდებით.
[არაადამიანური]

1. ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტი დღეს გადაწყვეტილებას მიიღებს. [მნიშვნელოვანი]

2. მაგ მუხლებს კანონიდან აუცილებლად ამოვიღებთ.
[არაკონსტიტუციური]

3. ჩვენს მოქალაქეებს ბევრად ნაკლები ხელფასები აქვთ, ვიდრე — ევროპის ქვეყნებისას. [დასაქმებული]

4. გთხოვთ, ვადაში ჩაეთიოთ და მშენებლობა მალე დაამთავროთ.
[განსაზღვრული]
5. ამგვარმა ამროვნებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ჩვენი ქვეყნის
განვითარება. [შეზღუდული]
6. ჩემს ქვეყანაში თავს ვგრძნობ. [დაცული]
7. თქვენი მოხსენება უნდა წაიკითხოთ, ამიტომ საგანგებოდ მოემზადეთ!
[საჯარო]
8. სამინისტროში ოფიციალური წერილი გააგზავნეთ და ინფორმაციას
დაელოდეთ! [დამატებითი]
9. იმედი მაქვს, ამ განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებთ.
[გამამტყუებელი]
10. მათ ორგანიზაციას ფინანსური დოკუმენტები მოუწესრიგებელი აქვს.
[თანადამფინანსებელი]
11. ასეთ ოქმს დირექტორთან ვერ შეიტანთ. [შეუჯამებელი]

4. გამოთვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები!

ნიმუში: უნდა სცოდნოდა, რომ მისი საქციელი ...ამგვარ მძიმე შედეგს... გამოიწვევდა. [ამგვარი მძიმე შედეგი]

1. ხელისუფლების ქვეყნის განვითარებას ხელი უნდა
შეუწყოს. [დანაწილების ასეთი პრინციპი]
2. ბ-ნ თამაზს გამო პასუხს აუცილებლად მოსთხოვენ.
[ამგვარი უკანონო ქმედება]
3. ჩვენს განყოფილებას შესახებ ჯერ ინფორმაცია არ მიუღია.
[ასეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი]
4. ქალაქის სოციალურად დაუცველ ადამიანებს ცხოვრება
გაუადვილა. [საკრებულოს სამართლიანი გადაწყვეტილება]
5. ძველ საბერძნეთში დიდხანს იარსება. [ამგვარი
დემოკრატიის ფორმა]
6. უნდა იცოდეთ, რომ გამო სამსახურს დაკარგავთ. [ამდენი
უსამართლო პრეტენზია]
7. სამუშაო ბევრი გვაქვს, ამიტომ ვერ მოგცემთ! [ამდენი
თავისუფალი დრო]

8. შენს ადგილას რომ ვიყო, ჩემს ცხოვრებაში არ ვენდობოდი.
[მაგნიური უსინდისო კაცი]
9. და ცხოვრების წესს თუ არ შევცვლით, დემოკრატიულ განვითარებაზე ნულარ ვისაუბრებთ! [ასეთი პატრიარქალური კულტურა]
10. ბევრ რამეზე გამოთქვეს პროტესტი და მიტინგიც გამართეს. [თქვენი ორგანიზაციის თანამშრომლები]

5. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვა თავისი მხოლოდობით ან მრავლობითის ფორმით!

ნიმუში: მოსწავლეებმათავიანთი..... წარმატებებით ძალიან გაგვახარეს.

1. ყველა მოქალაქემ კონსტიტუციური უფლებები უნდა დაიცვას!
2. ვერ ხედავ, რომ ამ ადამიანს პოლიტიკური ინტერესი აქვს?!
3. სახელმწიფო ინსტიტუტებმა დიდი ხანია, რაც მასობრივი მედიის საშუალებით პოზიციები გამოხატეს.
4. ხალხმა პარტიების მიმართ დამოკიდებულება არჩევნებში უნდა დააფიქსიროს.
5. საქართველოს პრეზიდენტმა ანგარიშში აღნიშნა, რომ ქვეყანაში ადამიანის უფლებები მაინც ირღვევა.
6. თითოეული მოქალაქე ვალდებულია წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში.
7. დაკავებული პირი უდანაშაულობას სასამართლო პროცესზე დამტკიცებს.
8. სტუდიაში მოწვეულმა ახალგაზრდებმა პრობლემების შესახებ ისაუბრეს.
9. ყველა მოქალაქე ვალდებულია, პატივი სცეს როგორც , ისე სხვის აღმსარებლობას.
10. რელიგიურმა უმცირესობებმა შეხედულებები გამოთქვეს და სახალხო დამცველს წერილობით წარუდგინეს.

7. გამოთვებულ ადგილას ჩასვით სიტყვები: წინააღმდეგ, გამო, შესახებ, წინაშე, შემდეგ, მიხედვით!

ნიმუში: ბ-ნი გიორგი თავისი ცოდნისა და ნიჭიერების ...გამო.... დაინიშნა განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

1. ადამიანი საკუთარი ქვეყნის მოქმედებს, როცა უმცირესობების უფლებებს არღვევს.
2. ყველა საჯარო ინფორმაცია ჩვენი პარტიის ელექტრონულ გვერდზე დევს.

3. თანამშრომლების თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, რადგან კენჭისყრაზე დამაგვანდა.
4. ამდენი არგუმენტის მოსმენის აზრი შევიცვალე და მხარს აღარ გიჭერთ.
5. თქვენი ნათქვამის , ორმა ამომრჩეველმა კანონი დაარღვია.
6. საყვედური თქვენ მეც მივიღე; ნულარ დააგვიანებთ!
7. გამიხარდება, თუ თქვენი თანამდებობაზე დანიშვნის მეც შემატყობინებთ.
8. მათ ბოდიში უნდა მოიხადოთ!
9. საკუთარი სახელმწიფოს მოქმედება კანონით ისჯება.
10. სხდომის მობრძანდით, მანამდე დაკავებული ვარ.
11. საქართველოს კონსტიტუციის , რწმენისა და აღმსარებლობის უფლება ხელშეუვალია.

8. ბრძანებითი წინადადებები გადაიყვანეთ უარყოფით ფორმაში!

ნიმუში: ეს საკითხი დღესვე გადაწყვიტეთ!

... ეს საკითხი დღესვე **არ** გადაწყვიტოთ!...

1. ბრალდებულს ტელეფონით სარგებლობის უფლება შეუზღუდე!
.....
2. ახალი კანონპროექტის შედგენა დაიწყე!
.....
3. დუმილის უფლება გამოიყენე!
.....
4. ყველა დავალება სადამომდე შეასრულე!
.....
5. მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც კი გადადე!
.....
6. მაგ შეხედულებებს გაემიჯნე!
.....
7. რაიონის მცხოვრებლებთან შეხვედრები დაიწყე!
.....

8. ხვალისთვის სხდომა დანიშნე!

.....

9. შენი შეხედულებები სხვასაც გაუზიარე!

.....

10. მაგ უსინდისოს ყურადღება მიაქციე!

.....

9. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული ზმნები!

ნიმუში: არ ...გავეცეულვარ..., რადგან დამნაშევე არ ვიყავი. [გაქცევა; რა მიქნია?]

1. რას , ხმა ამოიღე! [გაჩუმება; რა გიქნია?]

2. ქ-ნი ლია საკრებულოს თავმჯდომარედ [არჩევა; რა უქნიათ?]

3. დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციას 4 დღე [მუშაობა; რა უქნია?]

4. ჩემს თანამშრომელს საწყალი ბიჭისთვის ქურდობა [დაბრალება; რა უქნია?]

5. თქვენი საქმე უკვე , ახლა ოფიციალურ პასუხს დაელოდეთ! [გადაწყვეტა; რა უქნიათ?]

6. ლალის არ ასეთი მოპყრობა, ის კარგი მუშაკია. [დამსახურება; რა უქნია?]

7. საქართველოში არ , ამიტომ ქართულ ენაზე ლაპარაკი ცოტა მიჭირს. [დაბადება; რა მიქნია?]

8. ქალაქის მერს საყვედურები და საკრებულოს წევრები გაუკრიტიკებია. [გამოთქმა; რა უქნია?]

9. სამწუხაროდ, მე ჯერ არ გერმანიაში. [ყოფნა; რა მიქნია?]

10. მას ეს უხარისხო პროდუქტი ბაზარში [შეძენა; რა უქნია?]

10. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით: უნდა!**ნიმუში:** ..მინდა..., რომ ჩვენი სოფლის სახელით შენ ილაპარაკო.

1. იცოდეს, რომ თითოეულ მის ნაბიჯს ხალხი გააკონტროლებს.
2. ჩანს, რომ შენ სიტყვით გამოსვლა.
3. არ ვიცი, მე დავწერო განცხადება თუ განყოფილების უფროსმა.
4. ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესი მასმედიაში გააშუქოს.
5. კონსტიტუციით მონიჭებული უფლებები გამოიყენოთ!
6. თქვენ, რომ მიწის ნაკვეთის გაყიდვა დღეს დაარეგისტრიროთ?
7. ჯერ ხელშეკრულება გააფორმოთ და მერე მოითხოვოთ საკუთრების უფლების დაცვა!
8. შენ, რომ მის დოკუმენტაციას გაეცნო?!

11. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით: შეუძლია!**ნიმუში:** ...შეგიძლიათ... ჩემი საბუთები მომაწოდოთ?

1. არა მგონია, რომ მას ამ საქმის გაკეთება
2. პროექტის განხილვის პროცესში შენიშვნების გამოთქმა ჩვენც
3. თამარს ჩვენი უფლებები საჯარო გამოსვლისას დაიცვას.
4. სწორი პროპაგანდით მასობრივი მედიის საშუალებებს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები გაამყარონ.
5. პარლამენტის თავმჯდომარეს სიტყვა არ მომცეს.
6. ჩვენ უმცირესობების უფლებების დასაცავად მიტინგი მოვაწყოთ.
7. თქვენ დახმარებისათვის ქალაქის მერიას მიმართოთ!
8. ყველა მოქალაქეს პირადი ქონება გაასხვისოს, რადგან ეს კანონითაა განსაზღვრული.

12. ააგეთ წინადადებები ფორმებით: ა) ჩემი აზრით; ბ) სხვათა შორის; გ) სამწუხაროდ; დ) საბედნიეროდ; ე) ამრიგად!

ნიმუში: ...მაშასადამე, ჩვენს ქვეყანას ევროპული მომავალი აქვს.....

1.
2.
3.
4.
5.

13. შესიტყვებები შეცვალეთ სინონიმებით!

ნიმუში: ატირებულმა ბავშვმა შიშისაგან ხმა გაკმინდა.

ნიშნავს:ბავშვმა შიშისგან ხმა ვეღარ ამოიღო

1. ამ შენიშვნის შემდეგ გამომსვლელმა პირში წყალი დაიგუბა.

ნიშნავს:

2. პარლამენტის თავმჯდომარემ ბ-ნ გიორგის სიტყვა შეაწყვეტინა.

ნიშნავს:

3. მაგ უსირცხვილო გოგომ მოხუც ქალს სიტყვა შეუბრუნა.

ნიშნავს:

4. ქ-ნ ნინოს მაგარი ზურგი აქვს, ამიტომ სამსახურიდან არ გაათავისუფლებენ.

ნიშნავს:

5. ბიჭმა ენა წაიგრძელა და ყველაფერი თქვა, რაც კი იცოდა.

ნიშნავს:

6. ტყუილი ლაპარაკის გამო მეგობრებმა მას ზურგი შეაქციეს.

ნიშნავს:

თავი IX

სახელმწიფო სამსახური

ნაწილი 1

საჯარო სამსახური

1.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	მექანიზმი, რომლის საშუალებით მიიღება სახელმწიფო გადაწყვეტილებები და აღსრულება ისინი.
2. -----	სამსახურის აღმსრულებელი, სამსახურში მომუშავე.
3. -----	ეწოდება შემოსავლებისა და გასავლების ერთობლიობას.
კანონშემოქმედება	4. -----
სტატუსი	5. -----

1.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
	სახელმწიფო სამსახური ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების აღსრულებას.	✓	
1	სახელმწიფო მოსამსახურე ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს.		
2	საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქცია კანონშემოქმედებაა.		
3	აღმსრულებელი ხელისუფლების ფუნქცია საჯარო მმართველობაა.		
4	სასამართლო ხელისუფლება ქმნის კანონებს.		
5	მუნიციპალიტეტის დაწესებულებებში საქმიანობა საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ფორმაა.		
6	მოსამართლეები და პროკურორები საჯარო მოსამსახურეები არიან.		
7	ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს ადმინისტრაციაში საქმიანობა საჯარო სამსახურია.		
8	პროფესიული საჯარო მოხელის დამსაქმებელი შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი და სხვ.		

9	პროფესიული საჯარო მოხელე თავის საქმიანობაში მხოლოდ ანაზღაურებას იღებს.		
10	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი სამსახურში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზეა მიღებული.		
11	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს არაფერი აკავშირებს პოლიტიკური თანამდებობის პირთან.		
12	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს არ უნდა ეკავოს საჯარო მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობები.		

1.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: სახელმწიფო მოსამსახურედ.....

დ. ის ხელფასს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს.

1. პროფესიული საჯარო მოხელე
2. შტატი
3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი
4. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი
5. ხელფასი
 - ა. პირი, რომელიც სამუშაოზე განსაზღვრული დროით აჰყავთ.
 - ბ. პირი, რომელიც სახელმწიფო დაწესებულების საშტატო თანამდებობაზე ინიშნება ან აირჩევა.
 - გ. პირი, რომელიც თავისი საქმიანობით ეხმარება პოლიტიკური თანამდებობის პირს.
 - დ. იგივეა, რაც ანაზღაურება, გასამრჯელო.
 - ე. ტერმინი, რომელითაც სამუშაო ადგილი აღინიშნება.

1.4. უპასუხეთ კითხვებს რა? / ვინ? და შეავსეთ შესაბამისი უჯრები!

N	რა?	რა? / ვინ?
	სამსახური	მოსამსახურე
1	ხელი	
2	სამართალი	

3	ნაწილი	
4	მხარე	
5	ადგილი	
6	სწავლა	
7	კამათი	
8	დავა	
9	თამაში	

1.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში:თქვენს მოწინააღმდეგეს... სუსტი არგუმენტები ჰქონდა. [თქვენი მოწინააღმდეგე]

1. თავიანთი ნაწილი უკვე დატოვეს.
[სამხედრო მოსამსახურეები]
2. საკუთარი უფლება-მოვალეობები გააცნეს.
[საჯარო მოხელე]
3. თითოეულმა კარგად იცის, რომ სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფოებრიობის გარანტიაა. [კეთილსინდისიერი მოსამართლე]
4. მასმედია თანაბარი დრო უნდა დაუთმოს და მოვლენები ისე გააშუქოს. [არჩევნებში მონაწილეები]
5. ჩვენი აზრით, საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა უნდა იყოს. [პოლიტიკური მომხრეები]
6. შეატყობინეს, რომ მიმდინარე თვეში ორმა თანამშრომელმა უხელფასო შვებულება მოითხოვა. [დირექტორის მოადგილე]
7. სკოლის ხელმძღვანელობამ ყველაზე პერსონალური კომპიუტერი გადასცა. [ბევრთი მოსწავლე]
8. აფხსენი, რომ საჯარო მოსამსახურე კოლექტიურ გადაწყვეტილებებს უნდა დაექვემდებაროს. [ჩემი მოგამათე]
9. მუნიციპალური შენობის დარბაზში სერტიფიკატები გადასცეს. [ჭადრაკის მოთამაშეები]

1.6. დააწყვილეთ სინონიმებად!

საფუძველი, განვითარებული, ომი, სპეციალური, დამოუკიდებელი, გამოაქვეყნა, საძირკველი, პროგრესული, აუცილებელი, საგანგებო, თავისუფალი, გამოსცა, სავალდებულო, ბრძოლა.

ნიმუში: მრავალი — ბევრი

1.
2.
3.
4.
5.
6.
7.

1.7. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვა დასმული კითხვის მიხედვით!

ნიმუში: ორი თვე უმუშევარი ვიყავი და გუშინ სამსახურში ...*აღმადგინეს*... [რა მიქნეს? — აღდგენა]

1. ჩვენი კანცელარია ყველა საბუთს [რა იზამს? — აღწერა]
2. გამგებლებმა , რომ ამ საკითხს შეისწავლიდნენ. [რა ქნეს? — აღნიშვნა]
3. ვინ პროდუქციის რაოდენობას? [რას იზამს? — აღრიცხვა]
4. საქმე დღსვე უნდა , თორემ ძალიან დაგვიანდება. [რა ვქნა? — აღძვრა]
5. ეს ყმაწვილი კარგად , ამიტომ იქცევა ასე. [რა ქნეს? — აღზრდა]
6. ჯერ ძველი შენობები უნდა [რა ქნათ? — აღდგენა]
7. ქ-ნმა თამარმა სამი არაჩვეულებრივი შვილი [რა ქნა? — აღზრდა]
8. პრემიერ-მინისტრმა თავის სიტყვაში , რომ ის მომავალი წლიდან სოციალურ პრობლემებს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა. [რა ქნა? — აღნიშვნა]

1.8. წინადადებები გადაიყვანეთ კითხვით ფორმაში, გამოიყენეთ კითხვები: როდის? და როდინდელი?

ნიმუში: ხვალინდელი სხდომა ორი დღით გადაიდო.
როდინდელი სხდომა გადაიდო ორი დღით?

1. გუშინწინდელი ამბის შესახებ დღეს გავიგე.

.....

2. დირექტორი **დღეს** აპირებს ჩვენს დაჯილდოებას.

.....

3. **შარშანწინდელმა** გადაწყვეტილებამ ბევრი ფინანსური პრობლემა შექმნა.

.....

4. **მაგვ** შევძლებ ჩემი ხელშეკრულების გაფორმებას.

.....

5. **მომავალ წელს** ქართული ენის სწავლა უნდა დავიწყო.

.....

6. აუცილებლად ვუყურებ **ხვალინდელ** ტელეგადაცემას.

.....

7. ომბუდსმენის **გუშინდელი** განცხადება მოვისმინე.

.....

ნაწილი 2

მოხელის თანამდებობაზე მიღება

2.1. ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით შეავსეთ ცხრილი:

სიტყვა	მისი მნიშვნელობა
1. -----	ეწოდება პროფესიული ცოდნის დონეს.
2. -----	სრულწლოვანი პირი, რომელსაც თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელება შეუძლია.
3, -----	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.
კანდიდატი	4. -----
სტაჟი	5. -----

2.2. მიუთითეთ სწორია თუ არასწორი, აღნიშნეთ ✓-ით:

N		სწორი	არასწორი
	პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურში მიღებას წინასწარ დადგენილი მოთხოვნების დაცვა არ სჭირდება.		✓
1	საქართველოს კანონის მიხედვით, საჯარო სამსახურის დასაკავებლად სპეციალური მოთხოვნები არ არსებობს.		
2	საჯარო სამსახურში საჭიროა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება.		
3	საჯარო სამსახურში მოხელედ მიიღება მოქალაქე, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა.		
4	16 წლის ასაკიდან საქართველოს მოქალაქე ქმედითუნარიანია და მას საჯარო მოხელედ მუშაობის უფლება აქვს.		
5	საჯარო მოხელის თითოეული იერარქიული რანგისთვის სპეციალური მოთხოვნები არსებობს. ესენია: აუცილებელი ცოდნა, კვალიფიკაცია, გამოცდილება.		
6	მოხელის თანამდებობისთვის სპეციალურ მოთხოვნებს ადგენს შესაბამისი სამინისტრო.		
7	პროფესიულ საჯარო სამსახურში მოქალაქეები მიიღებიან კონკურსის საფუძველზე.		
8	ძირითადი მოთხოვნების შესაბამისობის დადგენა კონკურსის პირველი ეტაპია.		
9	კონკურსის დროს კანდიდატის შეფასება არ ხდება.		
10	მოხელის სტატუსის არმქონე პირი ვაკანტურ თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით (12 თვით) მიიღება.		
11	გამოსაცდელი ვადით მუშაობა მოხელეს სამსახურებრივ სტაჟად ეთვლება.		

2.3. მიუსადაგეთ ჩამოთვლილი სიტყვები [1-5] მათთან აზრობრივად დაკავშირებულ კონტექსტებს [ა-ე]:

ნიმუში: იერარქიულიბ.....

ბ. იგივეა, რა საფეხურებრივი.

1. შესაბამისობის დადგენა

2. შეფასება

3. ვაკანტური თანამდებობა

4. გამოსაცდელი ვადა

5. ვალდებულება

ა. თავისუფალი, დაუკავებელი თანამდებობა.

ბ. პერიოდი, რომელიც პირს ეძლევა იმისთვის, რომ ის გამოცადონ, შეაფასონ.

გ. იგივეა, რაც მოვალეობა რაიმეს ან ვინმეს მიმართ.

დ. კრიტერიუმის მიხედვით განსაზღვრა, რაიმეს მოწონება-არმოწონება.

ე. განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად შეესაბამება ერთი საგანი მეორეს.

2.4. უპასუხეთ კითხვას როგორი? და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

N	რა?	როგორი?
	პროფესია --->	პროფესიული
1	აგრესია --->	
2	დემოკრატია --->	
3	იერარქია --->	
4	იმპერია --->	
5	ისტორია --->	
6	ენერგია --->	
7	ორგანიზაცია --->	
8	პრეტენზია --->	

2.5. გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული წყვილები!

ნიმუში: ...ორგანიზაციულ საკითხებს... მართო ნუ გადაწყვეტთ! [ორგანიზაციული საკითხები]

1. საჯარო მოხელე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.
[იერარქიული რანგი]

2. ადამიანები მიხედვით უნდა დაასაქმოთ. [პროფესიული განათლება]

3. ზოგიერთი ქვეყნის მსოფლიოში შეიძლება საერთო ვითარება
შეცვალოს. [აგრესიული პოლიტიკა]

4. ევროპის ქვეყნების მაგალითი ჩვენც უნდა გამოვიყენოთ.
[დემოკრატიული განვითარება]
5. ამ შესახებ არაფერი ვიცოდი. [ისტორიული ფაქტი]
6. კაბინეტის კარი შემოაღო და ჩვენი დირექტორი იკითხა. [ენერგიული
ახალგაზრდა]
7. განყოფილების გამგის ოთახში დაიბარეს და ყველაფერი
გამოჰკითხეს. [პრეტენზიული თანამშრომელი]

2.6. გამოიყენეთ –თვის თანდებული და გამოტოვებულ ადგილას ჩასვით მოცემული სიტყვები!

